

გიორგი ყანწარაშვილი

# ამირანი

თბილისი  
2011

გიორგი ყანწარაშვილი

# ამირანი

დამკაბაღონებელი მაკა ცომაია

თბილისი  
2011

ISBN 978-9941-0-3852-5

# ნინასიტყვაობა

ამირანის ეპოსი უძველესი და უმდიდრესი მოვლენაა ძველ  
ქართულ შემოქმედებაში რომლის ფუძეც წარმართულ ხანაში,  
ქრ.ჸ-მდე მრავალ ათეული საუკუნის წინაა სავარაუდებელი.  
ამ თქმულებამ, ისევე როგორც ქართველმა ერმა, გამოიარა  
მრავალი საუკუნე და შეითვისა მისი ხასიათობრივი ელემენტე-  
ბი, მისი ყოფითობიდან გამომდინარე. როგორც აკადემიკოსი  
შ.ძიძიგური აღნიშნავს, ამირანმა დროთაგანმავლობაში შეიძი-  
ნა სხვადასხვა სახობრივი ელფერი, სადაც შეზავებული იყო  
„ამირანდარეჭანიანის“ და სხვა, უცხოდან, შემოსული პერ-  
სონაჟებიც. საბედნიეროდ მეცნიერებმა დაამუშავეს თქმულების  
ასორმოცდაათამდე ვარიანტი რომლებიც შემონახული იყვნენ:  
ქართლში, კახეთში, რაჭაში, ფშავში, ხევსურეთში, ხევში, მესხეთ  
ჯავახეთში, გურიაში, თუშეთში, მთიულეთში, იმერეთში, სვანეთში,  
აფხაზეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ ვარიანტების შედარ-  
ებით მოხერხდა აღედგინათ ამირანის ერთიანი უძველესი სახე.  
განსაკუთრებით დიდი შრომა გაუწევია პროფესორ მ.ჩიქოვანს  
რომლის ნაშრომებშიც გამოირჩევა ჩანაწერები: ფშავური ვერ-  
სიდან ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ 1899 წ. ქართ-  
ლული ვერსიიდან ჩაწერილი მთქმელი ვანო ჩინჩალაძის მიერ  
1887 წ. რაჭული ვერსიიდან მთქმელების: გაბრიელ ბაკურაძის,

მალაქია ბერიშვილის, იასონ ბიჭიაშვილის ჩაწერილი ელენე ვირსალაძის მიერ 1953 წ. და სვანური ვერსიიდან ჩაწერილი ბესარიონ ნიჟარაძის მიერ.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ვერსია მოგვაგონებს თვითნაბად ოქროს ზოდებსო, რომელთა ერთმანეთში დაკავშირებამ ცხადყო ამირანის ეპოსის გრანდიოზულობა. ბატონი შოთა ძიძიგურის აზრით თქმულებას თვით პირველყოფილური ეპოქიდანაც შეიძლება ედოს საფუძველი.

და მაინც სად და როგორ შეიძლება დაბადებულიყო ამირანი?

უპირველეს ყოვლისა მინდა ყურადღება გავამახვილო სახელის წარმომავლობაზე და მოვიყვანო ის ფაქტები და მაგალითები რაც, ერთი პერიოდი, საზღვარგარეთის, კერძოდ ევროპელი მეცნიერების განსაკითხოების საგანი გახდა. საკითხი ეხება სახელწოდება: მარიამ/მირიამ-ს და მის წარმოშობის წყაროებს. აღსანიშნავია ამ სახელწოდების მსოფლიო მნიშვნელობა, რომელიც დღესაც გამოიყენება და ბიბლიურ პერსონაჟებსაც წარმოგვიდგენს, მაგ: მოსეს და და შემდეგ მშობელი იესო ქრისტესი, ახალი და ძველი აღთქმის მიხედვით, რომელთა სახელებს მჭიდრო კავშირი აქვთ ძველი ეგვიპტის სახელწოდებებთანაც.

ერთხანს მეცნიერთა აზრი იკვეთებოდა იმაზე, რომ სახელი მარიამ/მირიამ, რომელიც ასევე მირიან/ამირიან/ ამირანადაც იწარმოება, წარმოშობილია ძველი აკადური

ეპოქის ნაშთებიდან. როგორც მეცნიერი ვ.ზოდენი აღნიშნავს: აკადურად რამუ/რიამუ სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც ჩუქება, აქედან გამომდინარე წინსართების „მა“ და „მი“-ს დამატებით ვიღებთ შედგენილ სახელწოდებას ისეთი დატვირთვით როგორც: „ღვთის საჩუქარი“, აქვეა მოყვანილი ის აკადურიდან ნათარგმნი სიტყვები რომლებიც რამუ-ს იდენტურია და სხვადასხვა მნიშვნელობით გამოირჩევიან (მაგ: რამუ-სიყვარული, შესაბამისად ირამ-უყვარდა. გრაფიკულად ირამ განსხვავდებოდა სიტყვა ირემისგან რაც მოწყალეს აღნიშნავდა. აქვეა ირიმ-ის მაგალითი რაც ჩუქებით ითარგმნებოდა.) მიუხედავად მკაფიო მსგავსებისა, ასირიოლოგები ამ აკადურ სიტყვებს ერთმანეთისგან სრულიად აცალკევებენ. იმის გამო, რომ სიტყვა „რიამუ/რამუ“ უძველეს აკადურში თითქმის გამოუყენებელი და ისეთი უიშვიათესი იყო, რომ წყაროებში ძლივს მოიპოვებოდა, მეცნიერები მის აკადურ წარმომობას, გარკვეული მასალების მიხედვით, მაინც ეჭვ ქვეშ აყენებენ. აქვე ავღნიშნავ, რომ შედარებით ახალ აკადურში სიტყვა „რიმუ“-ს შეეტყვისება ფართოდ გავრცელებული სინონიმი „ქასუ/ქისუ/ქიასუ“ – ჩუქება.

მეცნიერთა შემდეგი კვლევა-ძიება წარიმართა სახელ „მირიამ/მარიამის“ მისადაგება სხვა უძველესი ენების: ძველი ბაბილონურ, ებრაულ, არაბულ და კანაანურ-ამორიტულ სიტყვათა მნიშვნელობასთან.

მ.ნორის წიგნის „ისრაელის პიროვნული სახელები”-ის მიხედვით ებრაული სიტყვათა ლექსიკონი ასახავს კიდევ ორ სიტყვის მნიშვნელობას, სახელდობრ: „მა'იან” - წყარო და „მიღიან” – კამათი, ჩხუბი. აქედან გამომდენარე, მეცნიერთა აზრით სახელები: მიღიან, მოსე და მარიამ შორსაა ებრაულ წარმოშობასთან. ეჭვი იყო იმაზეც, რომ სახელი მარიამ ან მირიამ არა სემიტური ენის არამედ ძველი ამორიტული ენის ფუძიდან შეიძლებოდა წარმოშობილიყო.

რაც შეეხება არაბულს, რამა/იარიმუ-დატოვება, წასვლა საერთოდ არ უკავშირდებოდა სახელწოდებით ტერმინს.

დაწვრილებით იქმნა გაშითრული და ნათარგმნი სიტყვა „საჩუქარი” ბაბილონურ და ამორიტულ ენებზეც. როგორც ძველი ბაბილონის ლექსიკა ცხადჰყოფს, აქ ტერმინებული სიტყვა გამოითქმის როგორც „თარიმთუმ” და პიროვნების სახელად ხშირადაც გამოიყენებოდა. ასევე სახელი: „ლარი-იმ-ლიიმ” (იარიმ ან ჟარიმ) როგორც „საჩუქარი” გვხვდება ალალაპის ტექსტებშიც მეფის სახელად, მაგრამ ამგვარმა კვლევამ და სემიტურ ტექსტებში ჩაძიებამ მთლად დააშორა მეცნიერები სახელ მარიამ/მირიამის შესატყვისობას.

როგორც შემდეგ გაირკვა სიტყვა რამუ/რიამუ თავდა-პირველად 1400 წ. ქრ.შ.მდე შუა ბაბილონის სამეფოში ჩანს და ასირიელები მას როგორც რიმუტუ-საპატიო/ პატივცემულის სახით საკუთარ ტერმინოლოგიაში იღებენ. ეს რომ აკადური სახელი ყოფილიყო აუცილებლად უნდა გამოჩენილ-

იყო მკაფიოდ აკადურ წყაროებში, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა მას თითქმის არც კი იყენებდნენ.

ვინაიდან ბაბილონურ ენაში „მა“ თავსართი არსად არ გვხვდება, გაუგებარია სახელ მირიამ-მარიამის წარმოშობის ზუსტი და უძველესი მონაცემები, მას არც სამხრეთ კანაანურ სიტყვასთან მი/არიამ-საჩუქართან ჰქონია კავშირი. სახელი რომ მოსეს და მარიამის დროს კი ვრცლად გამოიყენებოდა ეს ნათელია.

კალებიტურ კლასიფიკაციაში, რომელზეც ძველი აღთქ-  
მაც მეტყველებს, მოხსენიებულია ვინმე მირიამი რომელიც  
მამრობითი სქესის წარმომადგენელია და რომლის დე-  
დაც ეგვიპტის პრინცესად გვევლინება. იგივე სახელობითი  
ტენდენცია გვხვდება ჩრდილოეთ მესოპოტამიაშიც. ძველ  
ისრაელში კი მსგავსი სახელები ძვ. აღთქმის მიხედვით ნა-  
კლებად გამოიყენებოდა რასაც ვერ ვიტყვით ქრისტეს შო-  
ბიდან შემდგომ პერიოდში.

ის თუ, მარიამ/მირიამ, (ა)მარიან/(ა)მირან, როგორ დამ-  
კვიდრდა მდედრობით და მამრობით სახელად, თვით ბიბ-  
ლიურ პერსონაჟებშიც, კვლავ მეცნიერთა თავსატეხად და  
განსკის საგნად რჩება.

თუმცა აქ საყურადღებოა კიდევ უფრო უძველესი კულტუ-  
რა ე.წ. ჰარების ნაშთებიდან, რომელთაც მჭიდრო კავშირი  
ჰქონდათ ძველი ინდოეთის და ვედების ხალხებთან, მოგვია-  
ნებით კი ცნობილი გახდა მათი, სავარაუდო საერთო სახ-

ელი, როგორც ინდოარიული. მეცნიერ გ. ვილჰელმის ნაშ-რომებში საუბარია უძველეს ერზე რომელთა ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიაში აღინიშნებოდა, ხოლო მათი ფუძე კიდევ უფრო ჩრდილოეთით, კავკასიაში მოისაზრე-ბოდა. მათში ინდოარიული კულტურის გავლენა შეიმჩნეო-და და განსაკუთრებული ადგილი სამხედრო ძალას ეჭირა. აქვეა ნახსენები მათი ორი მნიშვნელოვანი საბრძოლო იარ-აღის სახელწოდება კერძოდ: „სატივარა“ და „მარიანინა“, ეს უკანასკნელი კი ცხენებზე შეკაზმულ ორთვლიან საბრძო-ლო ეტლს წარმოადგენდა და ფართოდ იყო მოგვიანებით: მითანში, სირიაში, პალესტინაში და ეგვიპტეში გავრცელე-ბული. აქ კი მათი სახელის წარმომავლობას ძველ ინდოურ და ვედურ ენებს მიაწერენ, რადგან სიტყვა „მარი“ ძველ ინდურ ენაზე ახალგაზრდა ვაჟს აღნიშნავს. თვით სახელი ბოლოსართის „ნა“-ს გამოკლებით, გვევლინება როგორც „მარიანი“, რასაც უსათუო კავშირი უნდა ჰქონდეს მარიან/ მირიან—ამარიან/ამირანთან. ამ შემთხვევაში ა წინსართი იმ არტიკლად გვევლინება რაც დღესაც იხმარება აფხაზურში და რაც უძველეს ქართულშიც გამოიყენებოდა, თუმცა დრო-თა განმავლობაში არტიკლმა დაკარგა თავის მნიშვნელობა და საბოლოოდ შეერწყა სიტყვებს, უმეტესწილად თანხ-მოვნის სახით, მაგ: (ღ)-ვინო ან (ღ)-უინო, (ჭ)-ამა, (ყ)-ნოსვა უფრო გვიან (ყ)-ნოსუა, (მ)-შვენი ან (მ)-შუენი, (ყ)-ური და სხვ... აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოდ ხსენებული არტიკლი „ა“

დღესაც შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, პიროვნებათა სახელებთან, ოღონდ თავსართის ნაცვლად ბოლოსართად მაგ: დავითი როგორც დავით(ა), გიორგი–გიორგ(ა) და ა.შ...

თუ ჩვენ ზემოთხსენებული წინსართის მეშვეობით, სიტყვა „მარს“ გავშითრავთ, მივიღებთ რამოდენიმე მნიშვნელობის ტერმინს, რომელიც ახალგაზრდა მებრძოლი ვაჟის მახასიათებელს და გარკვეულ მამრობით როლსაც ასახავს. მაგ: (გ)-მირი და (ქ)-მარი. არაა გამორიცხული სიტყვა „მეო-მარიც“ მსგავსი ფუძიდან იწარმოებოდეს.

უცნაურია, რომ ზემოდ ხსენებული ინდოარიულ/ვედურ-ქარითული „სატივარაც“ და „მარიანინაც“ იშვიათი დამთხვევით მიესადაგება თვით ამირანის სახელს და მის მოკლე ხმალსაც, ანუ „სატევარს“. ვინაიდან ამირანი უძველეს ეპოქას განეკუთვნება და მასში, ერთ დროს, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მკვიდრი ქარითების როლიც მოიაზრება, შეგვიძლია უკვე განვსაზღვროთ მისი როლი მისვე მერმისში და ქართულ ყოფიერებაში.

თქმულება გვესახება სამი სახის და ხასიათისად, – ერთის მხრივ მკაფიოდ ჩანს ზეპირი გადმოცემის შედეგად შეთვისებული ფანტაზიები, მთქმელების მიერ, რამაც დროთა განმავლობაში ზღაპრის სახე მიიღო, – მეორესმხრივ კი შერწყმული აქვს რამოდენიმე სცენა; ერთ-ერთი უმთავრესი კი კამარის მოტაცებაა, რაც საეჭვოა ამირანის პირვანდელ

სახეში მსგავსი სცენები ყოფილიყო. ალბად ის უპირველესი ლეგენდის შინაარსი იქნებოდა მხოლოდ ბრძოლები და გამარჯვებები გმირისა, რაც ზეპირი ისტორიის სახით ვრცელდებოდა ჩვენს უძველეს ხალხში. კამარის მოტაცებისას კი მკაფიოდ იჭრებიან თქმულებაში მისტიკური და ციური ძალები რომელთა წინააღმდეგ გმირს უწევს ბრძოლა. არის ვარაუდი, რომ შესაძლოა კამარის მოტაცება, შუა საუკუნეების ნაწარმოებიდან, კერძოდ ვეფხისტყაოსნიდან იყოს შეთვისებული. თუმცა არც იმას ფარავენ, რომ რუსთველის ნაწარმოებების შინაარსში, სამი გმირის ბრძოლაში და ნესტანდარეკანის გამოხსნაში, ამირანის ეპოსის დიდი გავლენა იყოს. მართალია რუსთველის „დასასრულში“ ვეფხისტყაოსნის შესახებ აღნიშნულია „ესე ამბავი სპარსული“ ... ვპოვე და ლექსად გარდავთქვიო, მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსთველი დასასრულში თავის ნაწარმოებებს სპარსულად ნათლავს და მეორეც, იგი თავის წინ აბდულ მესიას და მოსე ხონელს ასახელებს, გარკვეულ ეჭვს ბადებს. სწორედ ამის გამო შეიძლება ჭეშმარიტად ჩაითვალოს, ქართველი მეცნიერების ის აზრი, რომ „დასასრული“ სულაც არ ეკუთვნოდეს რუსთველის კალამს და იგი სხვათა ჩანამატი იყოს.

რაც შეეხება ამირანში კამარის მოტაცებას, სავარაუდოა მისი კიდევ უფრო ძველი წარმომავლობა ეპოსში. როგორც ივ. ჭავახიშვილი აღნიშნავს, საყურადღებოა ამ ზეციური ქალის სახელი, რომელსაც ქართლული თქმულება „კამარს“,

თფშაური „ყამარს“, ხოლო სვანური ქეთუს უწოდებს. არსებობდა ელამიტელთა ღვთაება რომელიც ბაბილონურ და ელამურ ლურსმნულ წარწერებში „ლაგამარ“-ად არის აღნიშნული. საფიქრებელია, რომ ეს სახელი შესდგებოდა თავსართ „ლა“ თვით სიტყვა „გამარ“-ისგან. ეს სახელი შედის როგორც პირველი ნაწილი ორნაწილედ სახელში „კედორლაომერ“ ანუ „ხოდოლლოგომორ“. მაშასად-ამე სახელ „გამარს“ რაღაც კავშირი აქვს „კედორთან“, აქედან გამომდინარე სვანური „ქეთუ“ შესაძლოა „კე-დორს“ უდრიდესო. აქ ივ. ჭავახიშვილი არ აკონკრეტებს, გადმოღებულია თუ არა კამარის მოტაცება რომელიმე უცხო სფეროდან, თუმცა ერთი რამ ნათელია, რომ ძველ დროში, ქრისტეს შობამდე, ძალიან გავრცელებული იყო ქალის მოტაცება თვით სამეფო კარიდანაც კი. მაგ: ძველ ტროას შემთხვევაში ელენეს მოტაცება და ასევე ძველ არგონავტებში, როდესაც მედეას გატაცებას დიდი თავზარი მოჰყვება კოლხეას სამეფოში.

თქმულებაში განსჯის საგანია ასევე ორი ძმის ბადრისა და უსუპის კავშირი ამირანთან. კახურ-ნინოწმინდურ ვერ-სიაში ნათქვამია ამირანის ორ უცნობთან შეხვედრა და მათ-თან დაძმობილება: „შეხვდნენ ამირანი და ორი ჩინელნი – ბადრი და უსუპიო, მათ უთხრა ამირანმა ან უნდა მეძმოთ ან უნდა მეყმოთო, – გეძმობითო, მიუგეს მათ... და მას მერე დაძმობილდნენ...“ .

დალის ძის უმამისძმობის შესახებ მოცემულია ფშავურ თქმულებაშიც მაგ: „უძმოსა უმამისძმოსა ამირანს თავი მოეკლა“-ო. ასევე პირდაპირ არის სვანური ვერსიის თანახმად მოცემული, რომ ბადრი და უსუპი ამირანის ძმები კი არა არამედ ძმობილები არიან, სადაც იამანს მიჰყავს აკვანში წოლილი ყმა და ამბობს – ეს ჩემი უსუპისა და ბადრის ძმად გამოდგებაო. თუმცა ერთი რამ კი ნათელია რაც განსაკუთრებით ფშავური ვერსიიდან ირკვევა, როდესაც გულმოსული ამირანი ბადრის ეუბნება:

„მაშინ სად იყავ შავ ბადრო,  
როცა ჩემ ხმალი წრთებოდა?  
ცა ჭექდა მიწა გრგვინავდა  
სამჯედლო ექანებოდა...“

აქ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ის უძველესი, ზეპირი გადმოცემითი მატიანეს ნაპერწკალი, სადაც ამირანი უფრო ძველი დროის გმირი, ბადრს მიმართავს\_ შენ მაშინ სად იყავ ჩემი ხმალი, რომ ხმალობდა და მიწას მისით ზანგარი გაჰქონდაო. სავარაუდებელია, რომ გმირების უკან გარკვეული ეპოქა და მისი გამორჩეული მოვლენები იდგნენ, რასაც ისტორიის სახით გადმოსცემდნენ თაობებს და რელიგიური დატვირთვითაც გამოირჩეოდნენ. ასე მაგალითად ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ძველ ქარითებში იყო ბუნებისა

და ამინდის ღმერთი „ტესუპი“, რომელსაც ტაძარში უმაღლესი ადგილი ეკავა. ყოველი ძლიერი მეფე და მთავარ-სარდალი შემდეგში, მოხსენებული იყო სწორედ ამ უმაღლესი ღვთაების სახელის მატარებლად. მართალია ზოგჯერ ბადრისა და უსუპის სახელებს „დარეჭანიანის“ გავლენას აწერენ, მაგრამ თვით თქმულება, რომ მოსე ხონელზე და დარეჭანიანზე ბევრად ძველია ეს ჰერ კიდევ V-IV საუკუნეებში ქრ.შ-მდე ძველი ელინელი ავტორების ჩანაწერებიდან-აც ირკვევა, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ „პრომეთე“-ს თქმულება, რომელიც ამირანის ანალოგიაა, კავკასიურია და მისი მიზანების აღგილიც კავკასიაა. იგივეს წერდა, ქრ.შ-მდე VI საუკუნეში, მწერალი ჰეროდოტე ჰერაკლეელი და თვით ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონიც, რომლის თანახმადაც პრომეთეს თქმულების სამშობლოდ კავკასია უნდა ეღიარებინათ.

ამირანის თქმულების ვარიანტები მეტწილად პროზით ვლინდება, თუმცა უმრავლესობა ლექსნარევითაა, თავიდან ბოლომდე გაღევსილი თქმულება არ იყო დადასტურებული. მისმა იდუმალებით მოსილმა ძველთაძველმა სიმდიდრემ მიმიზიდა და ღრმად ჩამიყოლა, რამაც გადამაწყვეტინა ეპოსი, ერთიანი შინაარსით, თავიდან ბოლომდე გამეღექსა. პოემაში დართულია და შესაბამისი დატვირთვა აქვთ იმ სახელებს რასაც თვით ძველი თქმულების შინაარსი წარმოგვიდგენს და რასაც უცხოეთში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში,

კერძოდ მეცნიერთა, ძველი ლურსმნული დამწერლობის, გაშიფრულ ვარიანტებში წავაწყდი. ამ მასალებში მოცემული იყო, ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მცხოვრები ერის და შუმერულ-სუბარული სიტყვათა კრებული (ასევე ასირიული) სადაც ბევრი საინტერესო წყარო ამოვიკითხე. მოგიყვანთ იმ ლურსმნულიდან ნათარგმნ სიტყვებს, რომლებიც გერმანელი მეცნიერების მიერ იყო დამუშავებული, მაგ:

„ლამაზუ“ – არის ძველ ღვთაებაში მშვენიერი ქალ-ღმერთის კეთილი სული.

„ქალუ“ – მოსამსახურე დიაცი.

„სახალუ“ – საცხოვრებელი სახლი.

„ბაანცალუ“ – მოქანავე-მოლაყლაყე.

„კალაგუ“ – ბოროტი სული, (სხვათაშორის უფრო მოგვიანებით „კალაგუ“ კეთილ სულად ითვლებოდა).

„სულკალმახუ“ – ითარგმნებოდა როგორც ვეზირი. (სწორედ ამან დაუდო საფუძველი, რომ პოემაში სულკალმახი ვეზირად გამომეყყანა).

„კამკამათუ“ – კამათი და ა.შ...

ამირანის დამუშავებისას გამოყენებული მაქვს ასევე სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი, რათა პოემა, ძველი წმინდა ქართული სიტყვათა მარაგით, შემესრულებინა. ლექსიკონში მოცემულია ის სიტყვები რაც თანამე-დროვე ქართულში თითქმის მივიწყებულია. აქვე მოვიყვან მაგალითად რამოდენიმე მათგანს:

„გოსტერი“ – რაც ს.ს.ორბელიანის თქმით, ქამარს ჰქვია. ხოლო ქამარი თურქთა ენააო. ასევე:

„ნარაჭი“ – მურაბა (თურქულია მურაბაც).

„ეპარხოზი“ – ვეზირი.

„სარეგვავი“ – მახე ყოველთა ცხოველთა.

„ურვა“ – ვაება გამოთქმული კაცთაგან ენით.

„სტოლი“ – უდიდესი საბრძოლო გემი.

„ვარსკვლავედი“ – მეფის მოსასხამი და ა.შ...

მგონი ნაწარმოებები ქართველ მკითხველში გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს და შეიძლება მან დროთა განმავლობაში მცირე გამოხმაურებაც ჰპოვოს.



# პირანი

ტყეს უდაბურსა შვენოდა, სალისა კლდენი მაღალნი,  
ცის კარად ზე აზიდულნი, არ ჰქონდა გზანი სავალნი,  
ამბობდნენ მისსა მახლობლად სოფელნი იყვნენ მრავალნი,  
ხევშეკიდულნი ლამაზად, ამკობდნენ წყალნი მავალნი.

ტურთად ნაგები სასახლეც მათთანა მდგარა რჩეულად,  
ნატიფად ქმნილი ქვანყობით, ახლოსვე არა ეულად,  
პატრონი მისი, ვეზირი, მეფისა კარზე ქცეულად,  
გონით და რჩევით დიადი, კაცთაგან გამორჩეულად;

მას სახელად სულკალმახი ერქვა იყო მჯობთა მჯობით,  
მეფის კარზე სულ პირველი, საქმენით თუ აზრთმარჯვობით,  
ცნობილ იყო ლაშქრობებშიც ბრძოლითა და გამარჯვობით,  
მეფის პირი, აღჭურვილი ერთგულებით, მის ღრმა ნდობით;

დიდად უყვარდა ეპარხოზს<sup>1</sup> თვისეულ ადგილსამყოფი,  
ტყე-კლდესა შიგან შეკიდულ, სოფელი სალალოდ მყოფი,  
დაიანების მხარეში, ედემის ბალად ნამყოფი,  
ნადირ-თრინველით უბადლო, სანადიროდვე სამყოფი.

1. ეპარხოზი – დიდი ვეზირი (სულხან საბა).

ვით ჩვეულ წესით სალხენად, ადგილს მცირე სპით სწვეოდა,  
უდაბურ ტყეში სულკალმას ღრმად ნადირობა სჩვეოდა,  
ერთხელაც, შეუცნობელად, ძლიერი უინი სწვეოდა,  
მისსა გუნებას წადილი ნადირობისა მჩნეოდა;

მოემზადა სალალობოდ დიდვეზირი პირვეული,  
გვერდით ახლდა თან მხლებალი, მცოდნენი, არ ჭირვეული,  
სპანი იმ მხრით შეუსია, სითაც ჰყავდა მიჩვეული,  
ჯუბა<sup>1</sup> ტანსა უმშვენებდა, მხართ ეფინა თმა ხვეული;

ტყენი გავლნეს, მოიარეს ადგილნი მიუდგომელნი,  
ხოცეს ნადირი გზადაგზა შემხვედრი სადმე მდგომელნი,  
მზა ჰქონდათ ტანზე საკმაზი, მშვილდი, ისარი რომელნი...  
არად ჩააგდეს დღის ბინდი, შეიქმნენ დაუდგომელნი.

მოსალამოვდა, დაბნელდა, ძნელი გაუხდათ სავალი,  
დასხდნენ, კარვები აღმართეს, არეს დაუწყეს თვალთვალი,  
რათა ენახათ დილისთვის უკან გზა, გამოსავალი,  
დაანთეს ცეცხლი ზე ყარნეს, ნანადირევი მრავალი;

რა შეა ღამეც მოვიდა, ცეცხლ-ჩირალდანი ამრავლეს,  
ბუნების ღრმა გულ-წიაღში, მხედრებმა ლხინი ამთავრეს,  
ანაზდად ხმები გაისმა, რაღაც გმინავსო სხვა მხარეს..  
თქვეს მხეციალ დაჭრილი, ან ირმის ყივილს ამგვანეს.

1. ჯუბა – სამოსელი

ყრუდ და უცხოდ იმავ ღამეს, ორჯერ-სამჯერ კვლავ გაისმა,  
სულკალმას თქვა: „გული მიწევს, მსურს შევიტყო რის ხმა ისმა,  
რამ იგმინა უჩვეულოდ, მოციქულმა ქვეყნად ვისმა?“  
არა დადგა, ვერ უთმინა გუნებამ და გულმა მისმა,

ადგა, ქარაფებს აუყვა, თან მიჰყვა ოცი მხედარი,  
სხვა ოცი დაბლა დასტიეს, სავალი მეტად ღრედ არი,  
სულკალმას ჭიქურ მიიწევს, როგორც სჩვევია მხნედ არი,  
მაგრამ სიბნელემ თვისი ქმნა, გზაც სახითვათო კლდედ არი;

დაღონდა დიდი ვეზირი, თავი მისკა ფიქრთა ზღვასა,  
მასთან მისი თან მხლებელნიც, მისცემიან დათრგუნვასა,  
ბრძანა: დილით მოვუნახავთ, ასასვლელსა რამე გზასა,  
კლდესა ზედა ანუ ავალთ, ან დავიმხობთ თავზედ მთასა,

დილაადრიან დაიწყეს ზე სვლა სალისა პირზედა,  
წალმა აუყვნენ ტინებსა, იყვნენ კვლა უშრეტ უინზედა,  
რა კლდენი გავლნეს მიადგნენ ქვაბულსა მდგარსა მაღლზედა,  
მზეც კარგად ამოსულიყო სხივებსა ჰოვენდათ თავზედა;

მცირედ შედგნენ, განიცვითრეს, შებლსა ოფლი მოიწურეს,  
საიდანაც ხმა მოესმათ იმავ მხარეს მიაშურეს,  
არემარე, ქვაბის პირი მიათვალეს უცნობ ყურეს,  
ქვაბულს შიგან შემავალთა ქალის კივილს მიაყურეს;

წინა დახვდათ სამი ლანდი, მოახლეთა მსგავსი ქალნი,  
პირსახითა მოუვლელნი, ტანად ჭმუხნი, თან დაბალნი,  
შიში სახეს ეტყობოდათ, დარჩენილნი სახტად მკრთალნი,  
მოსულებსა უჭვრიტავდნენ, მიუნდობლად ედგათ თვალნი;

ჰკითხათ: „ვინ ხართო რა გინდათ!“ უტია ერთმა მათგანმან,  
„ან რა დასტიეთ, რას ეძებთ!“ ხელთა იმარჯვა დანა მან,  
„ჩვენგან თქვენ ვერას გაარკვევთ, რომც გვძლიოს თქვენმა ძალამან,“  
დაჰკივლა: „თუნდაც დაგვხოცეთ!!“ არათრით მოიკრძალა მან.

ქალის მსგავსმა საქციელმა გააკვირვა სულკალმახი,  
წყნარად უთხრა: „ნე შინდებით, არ გაქვთ ჩვენზე დასაძრახი,  
არ ვართ სამტროდ მოსულები, ვქნათ რა, გვექცეს ჩვენზედ ახი  
არ ვყოფილვარ აქამომდე, ამისთანა რამის მნახი,

ვარ ეპარხოზი პირველი, ჰაბურთ სამეფო კარზედა,  
ნადირობაზედ მოსული, მშვილდით და ისრით მხარზედა,  
თვალაუზვდენელ კლდის პირას მოვდექით, შევსდეგ გზაზედა,  
შემოგვიღამდა, გავშალეთ კარავნი ტყისა თავზედა;

ანაზდად ხმა შემოგვესმა, მაღლით შორი ტინებიდან,  
ვერ ვარკვიეთ რა მოგვესმა, გმინგასა ჰგავდა ვნებიდან,  
ვთქვით ავსულია ან რამე ნადირი კლდისა მხრებიდან,  
ნახვა მომინდა, ვუბრძანე: ზე გვევლო ქვედა გზებიდან.“

რა ეს თქვა სიტყვა ასრულა, გაისმა კვლავაც კივილი,  
დიაცის ჰგავდა განწირულს, ხმაში ერთვოდა ტკივილი,  
მისი გამგონე მსახურთაც, ავარდათ მწარე ტირილი,  
ყელსა და ღანვებს იგლექდნენ, ღმერთსა დაუწყეს ჩივილი;

ვეზირი ახლოს მივიდა, იხილა მზეთუნახავი,  
ტანზედ გრძელი თმა ეფინა, ოქროსფრად, თვალთუნახავი,  
თვალს ვერ მოსწყვეტდა, კრთებოდა ყოველი მისი მნახავი,  
თქვა: „ღმერთო, მესო ნაღველი, სევდა მე გულსა მდაღავი!“

იწვა უღონოდ ქალღმერთი, ტკივილით იტანჯებოდა,  
მის ულამაზეს სახიდან, სიცოცხლე ნელა ქრებოდა,  
ხან მცირედ თვალთა ახელდა, ხანაც კვლავ ავად ბნდებოდა,  
თითქოს მას თანაუგრძნობსო, ცაც ღრუბლად ითარებოდა;

ერთ წამს მოვიდა ცნობასა, ზღვისფერად თვალნი ახილა,  
ანაზღად მისსა მშვენებას, მზერა ვერვინ მოაცილა,  
მან ქალმა, ძალის მოკრეფით, მოსულებს თავი ამხილა,  
მიუგო: თქვენმა ნახვამო, მე ყოფა გამიადვილა..

რქეა: „თქვენ ხართ ჩემი მხსნელნი, უფლის მიერ მოგზავნილნი,  
ვით კეთილი ანგელოზნი, სულმაღალნი და გულჩვილნი,  
აღარ ვჩივი ამად ყოფას, ან რა დღენიც მაქვს განცდილნი,  
აპა, ვნახე ხელნი ქველნი, ამა ჭირვის გზანი ხსნილნი,

გახლავართ დალი, ასული მეფისა ჰართა მხარიდან,  
ვერ წაუვედი სიყვარულს, ცოდვა ვსვი მის ფიალიდან,  
გმირი ჭაბუკი ვიყვარე, ვუმზერდი ყოფას მთვარიდან,  
ფეხმძიმედ ვიქმენ უწესოდ, ველოდი რისხვას გვარიდან,

რა შემატყო მამაჩემმან, უკანონო სიყვარული,  
განირისხა, დარდს მიეცა, გულსა ედო მწარე წყლული,  
თანვე მტერნი შემოგვეჭრნენ, დაგვაწიეს ყოფა რთული,  
მოაოხრეს სრულად ყოვლი, არა ჰქონდათ სიბრალული;

მე ჩემი თანამხლებლებით, ტყე-ტყეზე გავიხიზნენით,  
ძნელი დროება მოგვადგა, აღუწერელი ან ენით,  
ბევრნიც გზადაგზა დავკარგეთ, სულითაც დავიდალენით,  
უკან მოგვდიეს თვეობით, ღრე-ღეტე მოვიარენით.

წუხელის სიზმრად მესიზმრა, მოხუცი კაცი წვერითა,  
მითხრა: „ხარობდე, შეიძენ ჭაბუკსა მუცლით შენითა,  
სხვანი ხელს გაგიმართავენ, შენ ვერ შობ ძალით შენითა,  
ჩვენ კი შენს სულსა ტურთასა, აქ მოუთმენლად ველითა.“

ისმინე ბოლო მუდარა, დანატოვარი გულითა,  
ჰქენი სიკეთე ჩვილისთვის, მე ვინც ვატარე მუცლითა,  
აიღე დანა ალმასის, გამკვეთე ან ვარქუ ვითა!  
ნუ შეშინდები, არ შედრკე, ამა თხოვნითა რთულითა;

ვიცი გაუწევ მამობას, ედგმები ვითა მთარველად,  
თუ მართლა ბიჭი აღმოჩნდა, ამირან არქვი სახელად,  
თვით ღმერთი ზეცით მყოფელი, მოევლინება მნათვლელად,  
უფლისა მიერ რჩეული, გახდება ერისა მხსნელად“ .

შემდეგ უბრძანა მწუხარედ, სამივე მსახურსა თვისსა:  
„შემხსენით ძენკვი ოქროსი, შემჭერით ნაწნავი თმისა,  
გულსა მკიდია ბეჭედი, ჩვენეულისა გვარისა,  
ჩასწანით თმანი ნიშნებდა, წესად, სახსოვრად ვაუისა,

ამა დღენი, განსაცდელნი, ნურვის ერგოს ჩემდაგვარი,“  
ეს თქვა, ძალა ვეღარ ეყო, თავი მისდო ვითა მკვდარი,  
აღარ ჰქონდა გულთა ხოკვას, ვაი მოთქმას რამ საზღვარი,  
რა იტირნეს, დააყენეს სისხლნარევი ცრემლთა ღვარი.

ვეზირმა, ხელის კანკალით, მუცელი უხსნა დალისა,  
გაუჭრა, ნელა დაუსვა, ალმასი, პირი დანისა,  
მყის გამოვარდა ჭაბუკი, კაშკაშა, მზისა დარისა,  
ჟერ არ უნახავთ მსგავსი რამ, მშვენება კაცთა თვალისა;

აიყვანა, მკერდს მიიკრა სულკალმახმა ყმა შობილი,  
უთხრა: „ვიყო შენთვის მუდამ სანაქებო მამობილი,  
ჩემი სახლი, კარმიდამო, შენთვის მქონდეს დათმობილი,  
იყო რა ჩემად ოჯახში, ჩემსავე ვაუად ცნობილი,“

დედისეული ნიშნული, ხელსა ჩაუდო სათუთად,  
ღმერთს მადლი უთხრა: შებლმზისა ყმაწვილი მარგე საჩუქრად,  
ჩემები ბადრი, უსუპი, შინ გაიცნობენ საკუთრად,  
შვილებთან ერთად გავიზრდი, ერთურთს უძმობენ სანუკვრად.

ვეზირს პირველი სახლ-კარი, ქალაქის გულზედ მყოფელნი,  
ჰქონდა, თვით მეფის კარიდან, არც ისე შორით მდგომელნი,  
ნაგები ჯავარ-ტაზარით, ქვანი ძვირთასი რომელნი,  
ეზოს სარაჯნი მშვენოდნენ, მდიდრულად შემამკობელნი.

მოიყვანეს ამირანი, სასახლესა მოაღწიეს,  
ყმა დალოცეს, ადლეგრძელეს, თასი-ყანწი მაღლა სწიეს,  
დაიძრა მეფის ოქახიც, მის სანახავად გასწიეს,  
აწვინეს ოქროს აკვანში, დამღერეს ნაზად არწიეს;

მეფემ თქვა: „ოდეს შეიქმნეს ქებული, არა გმობილი,  
დავაკვირდებით, განვსაჭავთ ვით გაგვაოცებს ყმობილი,  
რა ისახელებს, იგმირებს, გახდება ქვეყნად ცნობილი,  
იქნება ჩემი სახლ-კარი მისთვის ღია, გახმობილი<sup>1</sup>.“

ატამან იყო სახელი, მეფისა მის დიადისა,  
მართველი ძველი სამეფოს, ჰაბურნთ-ჰარიას კარისა,  
მასვე ჰმონობდნენ მრავალნი, უცხო და უცხო გვარისა,  
მისსა სამეფო ალამზე, მშვენოდა ხატი ხარისა.

---

1. გახმობილი – გაღებული

დროშა ედგა წინაპართგან, უძველეს სამსა ფერისა,  
შავი თეთრი და წითელი, საქვეყნოდ შესაფერისა,  
იყო იმ ქვეყნის მფლობელი, დიდისა მშვენიერისა,  
პატრონი მისი გენისა, ძველისა, ბედნიერისა.

თვით ხელმწიფე დიდებული, ქველი და პატიოსანი,  
ლაშქარისა ფლობდა ურიცხვსა, იყო მისი თაოსანი,  
ერთი ჰქონდა დარღი ქვეყნად, საფიქრალი ჭიროსანი,  
ძე-ვაჟის ნაცვლად განგებამ არგუნა მანდილოსანი;

კამარი ერქვა სახელად, ჰყვა დედისერთა ასულად,  
ქვეყნადა მთელ სამეფოში, ნიჭით, სიტურთით განთქმულად,  
მღეროდნენ მასზე მგოსანნი ლექსებად, სახოტბოდ თქმულად,  
სახავდნენ მის ბრწყინვალებას, ცის კიათამდის ასულად.

ვეზირის ძე ამირანიც მეფეს კარზედ ეზრდებოდა,  
ათი წლისა მზეჭაბუკი, ფიცხელ ომში იწვრთებოდა,  
ხელმწიფეს მის შემხედვარეს, გულსა დარღი ეხსნებოდა,  
მცირე ყმისგან მეომარი, დიდი გმირი იზრდებოდა.

ასე ამბობდნენ: ამირანს თვით ღმერთი ჰყავსო ნათლია,  
უფალსა ჩამოუვლია, გმირი თვით გაუნათლია,  
მგლის მუხლი, ხარ-ლომის ღონე უხვადა დაუმადლია,  
ზვავისა შეუდრევლობაც, თან ზედვე დაუნათლია.

უძლვნია მისთვის ხანქალი, ღვთიური, ალმასიანი,  
უთქვია: ჭირსა, ომის დროს, რომ მტერსა სწიო ზიანი,  
ამ ქვეყნად შენი შემბმელი, ვერვინ გახდება სვიანი,  
იყავ და იცავ ავთაგან, შენი მხარეო მზიანი.

რა დაჭაბუკდნენ ყმაწულნი ერთუთს დაუწყეს დარობა,  
მათი შიშითა საქვეყნოდ, ვერ გაებედათ რამ მტრობა.  
ამბობდნენ გვერგო სიკეთე, ზეცით გვენია წყალობა!  
აჰა დამცველნი, მოგვესწრო ამქვეყნად სვე და ხარობა!

«ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმაროდ გამზადებულსა,  
უსუპი ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა,  
ამირან შავსა ღრუბელსა საავდროდ გამზადებულსა,»  
მათზე სდიოდა მზე-მთვარე, ატამანს გახარებულსა;

ამირანს, ძესა უფლისას, ცხრა ხარის ძალა მჩნეოდა,  
ძალით და ხასიათითა, ძმებს ოდნავ გამორჩეოდა,  
უსუპ-ტესუპსა მზიანსა, ბუნების ნირი სჩვეოდა,  
ბადრისა ბეჭების შეა, მთვარისა ხატი შვენოდა.

გაირბენს ხანი, სამივე უკეთესები არიან,  
მათ ძალონესა ქვეყნადა, ვერავის ვერ ადარიან,  
ომშიაც უკეთ მებრძოლნი, გამარჯვებულნი არიან,  
ავად მათზედა შემბმელსა, ნურავის გაუხარიან;

ბადრი, უსუპი, ამირან, ჭაბუკნი ჰირწვერშიშველნი,  
სახელგანთქმულნი მათ ხალხში, ზნე-ჩვეულებითაც ქველნი,  
ჭირში უნდობლად მებრძოლნი, ლხინში ხალისის დამრთველნი,  
მათ ფეხ ქვეშ იყო სამეფო, ტყენი, მინდორნი და ველნი.

ერთ დღესაც გაინადირეს, შორით მთის ფერდობებზედა,  
თანვე ჰყებათ მცირე ლაშქარი, მოშორებით მდელოზედა,  
უცაბედად შეეყარნენ ხალხსა, საღმე, გზასა ზედა,  
მწარედ ჰქონდათ დატყდომილი მათ, კაცთა, ჭირი თავზედა.

ამირან ჰკითხა: „რას სჩივით, რათა ხართ ვაი-ვიშითა,  
რა არის ესე მიზეზი, რომ მოსთქვამთ დია თიშითა<sup>1</sup>?“  
მათაც მიუგეს ურვითა<sup>2</sup>: „გვნახეთ, რომ არ ვართ იშითა<sup>3</sup>,  
თავზარდაგვეცა, გზადაგზა დავიარებით შიშითა,

გახსენოთ ესე ყოველი, ქვეყნად რაც ავად გვიწიეს,  
ანი დაგვიშრეს წყარონი, მხარე უდაბნოდ გვიქციეს,  
ანი დაგვტაცეს მერწყულნი, ნიაღვარ თვისად იქციეს,  
ანი დაგვატყდა რისხვანი, დღე ტანჯვად გადაგვიქციეს;

შორი ქალაქი მთას იქით, შვიდი დღისა სავალითა,  
დავტოვეთ არე ლამაზი, აღუნერელი თვალითა,  
დაგვეცა დევთა ლაშქარი, გვიხოცეს კაცნი ხმალითა,  
ატყვევეს ქალნი და ბაგშვნი, თან წაიყვანეს ძალითა;

1. თიშითა – გულით, გულიანად.

2. ურვა – მწეხარება დამზძიმებელი (სულხან საბა).

3. იში – სიტყვა განცხოვისა (სულხან საბა).

მივდივართ, რომ შეელა ვთხოვოთ დიდ ხელმწიფებულის ენათბილად,  
ჩვენი ქალაქის თავკაცი, მასვე მონებდა მორჩილად,  
ატამან პეტრია სახელად, მეფე გვიჩანს ვითა გმირად,  
გვსურს ავთა ავ საქციელზე, ახდევინოს ძვირად ძვირად!“

ელდა ეცათ მყისვე ძმებსა, სახე რისხვით აელენად,  
უთხრეს: „გაუხდით საქმესა მათ შორით გადასახვენად,  
მივალთ მტრულად საბრძოლველად, დასახოცად, დასალენად,  
თავზედ დავამხობთ, მოვაქცევთ მათვე სიცოცხლის სახვეწრად.“

ჯერ სასახლეს უკუ იქცნენ, მეფეს ახსენეს ყოველი,  
მოითათბირეს, იმსჯელეს, ომი თქვეს დამამხობელი,  
სულკალმას ამბობს: „ვითრთხილოთ, ბრძოლისა კი ვართ მდომელი,  
მაგრამ დევების ზნე-მოდგმა, რთულია, მიუნდობელი.“

ამირან ეტყვის მამასა: „რად ვიყო დაშინებული?  
ჩვენი სამეფოს სახელი ცნობილია და ქებული.  
რა მივუხდებით გავწყვეტავთ, საქმე ეკუთვნით რგებული,  
თორე არ გვქონდეს სამვე ძმას, დედისა რძეი რგებული.

ამირან, ბადრი, უსუპი, საომრად ემზადებიან,  
სამივე მცირე ლაშქრითა, ლაღად, მიემართებიან,  
ცნობისმოყვარე მცხოვრებნი, კარიბჭეს მოაწყდებიან,  
ომში გასვლის წინ გმირებსა, დალოცვით, ქებით ხვდებიან.

იარეს ოთხი დღე-ლამე, წინა ქალაქი ენიშნათ,  
ახლოს მივიდნენ, შეიცნეს, დევებს არე მოენიშნათ,  
მისულ მხედრებს, კაცის მსგავსი, ცოცხალ ვერვინ შეენიშნათ,  
ავთა ყველგან მათი ხელი დაეტოვათ მწარე ნიშნად,

ქალაქში შესვლა დაიწყეს, თვალთ იხილეს ყოფა რთული,  
ადგილი ნახეს სრულიად გადამწვარ-აოხრებული,  
ქუჩები, სახლის ეზონი, სისხლისა ღვარით მორნყული,  
გზადაგზა კარნი-სვეტები, ავთაგან, ძვლებით მორთული.

უსუპი კრთის მოუსვენრად, ავი უგრძნობს მისსა გულსა,  
წაღმა ბადრის წაეწვა, ეუბნება წარბშეკრულსა:  
„უჩვეულო სინყნარეა, რაც მიშფოთებს უცხოდ სულსა,  
ამირანსა მოვახსენოთ, არ ვეწიოთ საქმეს რთულსა...“

ანაზდად ისმა ყიუინა, მტერმა არე თარა სრულად,  
შეუკრა ალყა მათ ჟარმა, წინვე მიუხვდნენ მზაკვრულად,  
თურმე ავსულთა ლაშქარი, ჩასაფრებოდა თარულად,  
წინ მოევებათ დევკაცი ამირანს უცქერს თვალმტრულად;

წაუძახებს: „მოგელოდით აქვე თქვენდა დასახვედრად,  
გახლავართ მთავარსარდალი, კალაგუ მქვია სახელად,  
მეთვეს ვმორჩილობ დევების, ვარ მისვე მარჯვენა ხელად,  
თქვენ აქ დაგამხობთ, დაგხოცავთ, ვიქმ საქმეს ჩემდა სახელად,

ვიცოდი ოდეს გნახავდით, სამივე ძმებსა ქვეყნადა,  
თქვენთან შეხვედრა პირისპირ, მე ოდიდგანვე მენადა,  
შენთან კი, ძეო დალისა, მსურდა რამ ბრძოლა მეცადა,  
და იხილონ ტირილი, შენი მშობლისა ზეცადა!“

ამირან მისი მუქარა ისმინა არად ჩათვალა,  
ხმალი იშიშვლა, უტია, ცოცხლები მკვდრებს მიათვალა,  
ფიცხლად კალაგუს ეძგერა, მარჯვენა ყური ათალა,  
„ცოცხლად იპყარით!“ უყივლა, უსია დევმა ამალა.

დაეცათ ჭარი ზღვასავით, ყოველი მხრიდან უტიეს,  
იბრძოლეს ძმებმა გმირულად, მტერი შეა ჭრეს და ხიეს,  
მთავარსარდალი ბრძოლასა გააცალეს, გააქციეს,  
სამივემ წინა მომხდურნი, ვითა ფოთოლი დახიეს;

მოსალამოვდა, მოყმენი მთელი დღე ცხარედ იბრძოდნენ.  
ნელა წყდებოდა მტრის ჭარი, ძმები წინ ჯიქურ იძროდნენ,  
ომს დასასრული დაეტყო, გმირებიც ამას ფიქრობდნენ,  
დატყვევებულნი, დაჭრილნი ხმალ-აბჭარს კვნესით იძრობდნენ;

განვლეს ქალაქი, დატოვეს დევთა ზღვა სისხლი ქცეული,  
ბადრიმ თქვა: მოვრჩით ქარტეხილს, ძლივსლა გათავდა წყეული,  
ეს იყო, კვლავ წინ გამოჩნდა, მტრის ჭარი წყევლად ქცეული,  
ღალატმაც თავი იჩინა, დარჩა სპა ზურგშექცეული...

ძმებსა მწარე ღალატისგან, თვალთ სისხლი აქვთ ჩაქცეული,  
ექმნათ მოგება, მზაკვრულად, წაგებად გადაქცეული,  
კალაგუც უკუ მოიქცა, ბრძოლის ველსა გაქცეული,  
უძახის: „აპა, ვიხილე, დღენი თქვენი დაქცეული!“

რა დაეცნენ ერთსა ასნი, გმირნი შეიპყრეს მუხთლადა,  
წაზიდნეს მათვე სასახლეს, ციხეს ამწყვდიეს მტრულადა,  
ეტყვიან: „ცხრაკლიტულიდან ვეღარ გააღწევთ ცოცხლადა  
თუ არ სკნობთ თქვენს მბრძანებელად, ჩვენს მეფეს ამა სოფლადა.“

ამირან თქვა: „გამიგია, თქვენი ხელმწიფის ქებანი,  
თვალად მზე, დიდი ძლიერი, საქმენი რამ დიდებანი,  
ყოველთა მისსა მჭვრეტელთა გულსა სდებია ვნებანი,  
ვიქნებით მისად მორჩილად, იყოს რა თქვენი ნებანი,“

კვლა ამბობს წყნარად: „ერთსა გთხოვთ, რომ ჰქმნათ არც ისე ძნელია,“  
კალაგუს ეტყვის: „შენს დაზედ მრავალი ხოტბა მსმენია,  
მის სილამაზე რომ ქვეყნად, სიამურისა მგვრელია,  
მსურს ერთხელ ვნახო ცხადადა, არა ვარ ავის მქმნელია.“

კალაგუ ცხარობს, გულში აქვს, მწარედ ყურსა ქმნილი წყლული,  
მიდამო ძრნის, მჯიღსა იცემს, შეღლლი უდევს მასზედ რთული,  
ეუბნება: მას დაგანევ, შენგან რაც მაქვს დამართული,  
თორე ვერა მოისვენებს, სამუდამოდ ჩემი გული!

მოვიდნენ მეფის მსახურნი, მთავარსარდალს უქადიან:  
„თქვენს მბრძანებელსო სამივე ძმებისა ნახვა სწადიან,  
მათი ნებაა ჭაბუკი, სალამათად რომ არიან,  
ოთხ დღეში თქვენგან ამ საქმის, ქმნასა ნე დაუზარიან.“

შეუტყვია დევის დასაც, ყმისგან თქმული, ნაამბობით,  
რომ უქია ამირანსა, სიტურთით და დიაცობით,  
„ყოფილაო კალაგუს დის სილამაზე მჯობთა მჯობით,  
შეპყრობილა მისი გული, მიჯნურობის დიდი გრძნობით;

მას მერეა, რომ მის გულსა, იმ ყმაწვილის ნახვა სურსა,  
მას მერეა არ მიეცა მოსვენება მისსა სულსა,  
არც კი იცის რა უშველოს, მოზღვავებულ გრძნობას რთულსა,  
ვერა მართავს, თავბრუს ახვევს, გახელებულ უსუსურსა;

ადგა, თავისი მონანი, თან გაიყოლა ფარულად,  
შევიდა საპყრობილესა, შეუმჩნევლად და მალულად,  
მივა ამირანს უჭვრეტის, იგი უჩნს მის სიხარულად,  
სახეს ხელს უსვამს უკოცნის, იღვრება ზღვა სიყვარულად;

ამირანი თვალებს ახელს, ხედავს დიდსა ცხვირსა, კბილსა,  
ჟერ შეკრთება რა იხილავს, დევის დისა წყნარ ღიმილსა,  
შემდეგ დროსაც მოიხელთებს, ეტყვის: გიმხელ გრძნობა თბილსა,  
პირს უკოცნის ეფიცება: „შენ გიყვარებ ჩემთვის ტკბილსა,

შენთვის ვიქები, შენზედვე მექნება გული და თვალი,  
მისრულე ოღონდ სურვილი, აბა ჩემთვის თუ ხარ ქალი,  
რა გამიგონებ გახდები, შენ ძმისგან თავისუფალი,  
ცოლად მოგიყვან, არ გავნებ, თავდებად იყოს უფალი,

დამხსენი ამა ბორკილებს, მთელ ტანს, რომ მადგა წყეული,  
მინდა ვიცოდე სად არის, ჩემი ძმა სპანი მწყვდეული,  
მასწავლე ადგილსამყოფი, იმ შენი ძმისა რჩეული,  
მას მოვკლავ, შენთან ვიხარო, გაქციო მთლად ჩემეული.“

ქალმაც ახსნა, მიასწავლა, სასახლის გზანი და კარი,  
მასზე აქვს გული და სული, მის სიყვარულით ბრმად არი,  
გამოუტანა უჩუმრად აბჯარი, ხმალი და ფარი,  
უჩვენა მის ძმა-სპისთვისაც, აღჭურვილობა სახმარი.

ამირანმა ხმალ-აბჯარი სასწრაფოდ ტანსა ჩაიცვა,  
ქალს უთხრა: „შენი სიკეთით, ეს გული დადნა, დაიწვა,  
ეს დრო შენს ოთახს დაჰყოვნე, მერმე რომ უკეთ დაგიცვა,“  
თვითონ ჟერ, რომ არსად ეცნოთ, მოახლეთა კაბა იცვა;

ჩუმად მივიდა, დალეწა საპურობილეთა კარები,  
დახოცა მათი გუძაგნი, იქვე უბნელა თვალები,  
გამოხსნა ძმები უყივლა: „აქ თქვენთვის დავიარები“  
ათავისუფლა მათი სპაც, ნაწამებ-განაწვალები.

მიადგა მძინარ კალაგუს, აგდო წიხლისკვრით ტიალი,  
წამოხტა დევი, შიშისგან თვალებს გაჰქონდა ბრიალი,  
სცა ხმალი, გადმოაფრინა, სარკმლიდან უდის ბზრიალი,  
ცეცხლს მისცეს ძმებმა ყოველი, გაუდიოდა გრიალი,

სასწრატოდ ჰპოვეს ოთახი, სპისთვის ხმალ-აბჯარ, ფარები,  
დაეცნენ შიგან ანაზდად, მომხდურებს აჭრეს თავები,  
დაამხეს ავთსამყოფელი, აღინეს სისხლის ღვარები,  
დევთაგან არვინ დაინდეს, გახადეს შესაბრალები.

სასახლეში ამირანსა, დიდი რბევა წარემართა,  
მის წინა, გზისა დამჭერსა, თვისი ჭირი დაემართა,  
დასძახებთ: „მე თქვენს წინაშე, სისხლის აღება მემართა!“  
საჭირბოროტოდ მტერზედა, ხმალი მარჯვედ აღემართა;

რა ყოველი ამოხოცეს, დაამგვანეს სრულად მკვდარსა,  
მოტრიალდა ამირანი, ეუბნება ძმებს და სპასა:  
„მმართებს საქმე რამე მცირე, მუნ საქმნელი ამა სახლსა,“  
შედის შიგან ძახილითა, დადის, ეძებს დევის დასა;

დიდხანს ეძება, იპოვა ბნელ კუთხეს მოფარებული,  
ფრჩხილსა იკვნეტდა, ძრწოლავდა სახითა დაღონებული,  
ამირან ახლო მიუდგა, წყნარად გულდაოკებული,  
ქალი მის ყელსა მოეჭდო, შემკრთალი, გაოხებული,

ყმამან უთხრა: „დაგითასებ, მაგ სიკეთეს, სპეტავ გულსა,  
შენგან ჩემთვის ქმნილსა საქმეს, დაუვიწყარ სამსახურსა,  
მაგრამ ერთსა გვადრებ ამბავს, სათქმელადაც ძალზედ რთულსა,  
ვიცი ამით ვუღალატებ, სიტყვასა და ჩემსა რჯულსა,

ჰაბურნ-ჰავურნთა ხელმწიფეს, ვის ვეკუთვნით თვისვე ყმათა,  
ვემსახურებით კარზედა, ვართ მმართველნი მისვე სპათა,  
ლაშქარი მისი ძლიერი, ჩვენ გვმორჩილობს სამვე ძმათა,  
იმის მეტსა ვერვისა ვცნობთ, საბატონოდ, საქებრათა.

მეთეს ვუყვარვარ, ვაჩნივარ ვით ჰირველი შვილობილი,  
ასული მისი კამარი, არის საქვეყნოდ ცნობილი,  
ჩემი გული და სიცოცხლე მისად მიჩნს, მისთვის თმობილი,  
ერთურთის გვაქვს მიჯნურობა, ვითა ლახვარი სობილი.“

ქალი რა უსმენს ნაამბობს, შესცერის გაშტერებული,  
შემოიბლავლებს მჯილსა სცემს, გაჰკივის გახელებული:  
„წყეულიმც იყავ აწ გევლოს მუდამუამ შეჩვენებული,  
არა იხარო, არა გხვდეს გზა მშვიდი, დამშვენებული!“

გაიგონებს ამირანი ქალის წყევლას, გულგამწყრალი,  
აემღვრევა თვალში სისხლი, უსმენს წყნარად, ცრემლჩამდგარი,  
ფიქრობს: ცოცხალს არ ვამსგავსო, ვაქციო ვით შუქგამქრალი.  
ქალი ყვირის, კვლავაც ქენჯნის, კივილითა დამაშვრალი;

ყმამან უჯიკა, იშორა, მიაგდო იმავ კუთხესა,  
ეტყვის: „დაგტოვებთ მხოლოდ შენ, ცოცხლად ამა სასახლესა,  
მოვლენ ჟარად დევთ მეფესგან, ეტყვი რაც დაგიბარესა,  
რომ ბევრი ვერ გადაურჩა, ჩვენის ჭანყით, სიცოცხლესა,

თან წაგიყვანენ სასახლეს, მათვე ადგილსამყოფელსა,  
თავისუფალი იქნები, სრულიად ამა სოფელსა,  
თვალში ეცემი მათ მეფეს, ავლა-სამეფოს მთლობელსა,  
ალბად ეს ბედი უნდოდა, შენთვისვე, წუთისოფელსა.“

წამოვიდნენ, ოქრო-განძი, უხვად თანა წარიტანეს,  
«დასხდნენ ძმები სამსჯავროზედ, თანაც ყველა დაიტანეს,  
ვინც იმ ომში უღალატათ, სულ ხმალის ქვეშ მოატარნეს,  
ვინც ღალატი არ უჩვენათ, ძმებურადა გაიყარნეს.»

მეორე დღესა გზაზედა, კვლავაც დაუხვდათ ჭარია,  
ამირან ჰკითხავს მეთაურს: თუ რა საქმისად არია,  
ის უპასუხებს: „შენ გეძებ, მაქვსო შენივე ჭავრია,  
ჩემი ძმა, დევი კალაგუ, შენივე ხელით მკვდარია,

დილას მოვიდა, მაუწყე, სასახლეს გამოქცეული,  
გვეწია თავსა ზარიო, სახლ-გარი მთლად დაქცეული,  
გიოხრებია ძმისეულ, მიდამო ავლად ქცეული,  
არას შეგარჩენ, დავძრულვარ თქვენს ხოცვად გადაქცეული...“

დასცეს ყიუინა, ეკვეთნენ, ომი გამართეს ცხარია,  
ამირან შეხვდა მეთაურს, პირისპირ გულმხურვალია,  
ხმლითა დაჰკოდა, გახადა კაცთაგან შესაბრალია,  
აქციეს ძმებმა სრულადა, მათი ლაშქარი მკვდარია.

შინისაკენ შემოიქცნენ, მოამთავრეს სრულად ომი,  
იმღერიან სალალობოდ, რა მოხოცეს დევთა ტომი,  
სურს ამირანს შეეყაროს თავის მზესა, ვითა ლომი,  
გული უშფოთს მოუსვენრად, არის მისი ხილვის მდომი.

მოუახლოვდნენ მამულსა, რომ მოდგნენ ქალაქის თავსა,  
არე დახვდათ ნაომარი, ირგვლივ ცეცხლის ალი სწვავსა,  
დაემდულრათ ძმებსა გული, დაეტეხათ ჭირი თავსა,  
მტერი მხარეს დასცემია, მოუოხრავს მუხთლად ავსა;

სასახლესა გაექანენ, ნახეს დრო-ყოფა ჭირისა,  
კაცთაგან გადარჩენილნი, ყველა ვაებით ტირისა,  
შემოეხვივნენ მოსულებს, მოყვნენ უმწარეს ჩივილსა,  
ძმებიცა ვეღარ ითმენენ, გულში გაჩენილ ტკივილსა.

უთხრეს: „დავიმხეთ, ჩავცვივდით, საუბედურო უამშია,  
ერთად დევ-ქაფა ლაშქარი, გვესია ჩვენს სახლ-კარშია,  
ვუძალიანდით, სულკალმას ედგა ჩვენ ჯარსა თავშია,  
მოგვიკლეს თქვენი მამაცა, ვერ ვძლიერ ავთა ჯანშია;

სამეფო კარსა დაეცნენ, დახოცეს მტრებმა ყოველი,  
არ დაგიტოვეს ცოცხალი, ძმებსა არცერთი მშობელი,  
მეფის ასულიც გაგვტაცეს, ავთ ხელმწიფისთვის მდომელი,  
გვენია თავსა ღვთის რისხვა, საწუთრო დამამხობელი;

გმირნი ისმენენ, ნახავენ, იწყებენ მწარე ტირილსა,  
ამირან გახელებული, შემაძრნუნებლად ყვირისა,  
მჯიღს იცემს გამალებული, მოჰყვება ხოკვას პირისა,  
ცრემლი იდინეს ცხარედა, დრო სწყევლეს სიმძიმილისა.

«დედამ გვიბარა, საბრალომ: დევებს ნუ შეეყრებითა,  
თუ შეეყრებით, შვილებო, ადვილ ნუ გაეყრებითა,»  
ეტყოდათ დედა ბავშვებსა, თბილად და დარიგებითა,  
სამივე მწარედ იხსენებს, მშობლებსა დანანებითა.

ქვეყნად გავიდნენ საძებნად, ხელმწიფისა ასულისა,  
დიდხანს ეძებეს, ვერ პჲოვეს, კვალი რამ დაკარგულისა,  
დარდსა მიეცა ამირან, დაეტყო სევდა სულისა,  
თქვეს ალბათ დაიპატრონა, ხელმან რამე ავსულისა.

დალის ძე კი მჭმუნვას ვერ სძლევს, კვლავაც უკლავს გულსა დარდი,  
მოსთქვამს: „ვაი სითლა გპოვო, ვის მხარეში გადავარდი,  
სადა გნახო, სად მოგწყვიტო, რომელ არეს ტურთა ვარდი?  
ვერ დაგიცავ, ვერ მოგისჩარ, ვერ ვიყავი შენთვის მარდი.“

ადგა ძმებსა დაუბარა, ნუ მომძებნით საღმე გზასა,  
გავიჭრები სამუდამოდ, საძებნელად მზისა დარსა,  
ვისიცა მჭირს სიყვარული, მარად ვისი ვნებაც მწვავსა,  
რა ვიპოვი გავიხარებ, გავიქარვებ გულის დარდსა.

ბადრი, უსუპიც თან გაყვნენ, წესად მცირე ამალითა,  
აბჯარ ასხმულნი ლამაზად, წელს შემორტყმული ხმალითა,  
სამივე ერთად, საამო სანახავები თვალითა,  
განთქმულნი ვით უძლეველნი, გმირნი ქებულნი ძალითა.

გარდახდა ხანი, მიდიან, განვლეს გზა, მხარე ულევი,  
იარეს, გადაიარეს მრავლადა წყალნი, მთა-ხევი,  
იკითხეს ქვეყნად ყოველგან, დიაცის ბედი ურკვევი,  
ვერსად ჰპოვეს კვალი რამე, კამარისა, შესამჩნევი.

«იქვე შევლენ სანადიროდ, ამირან და ძმანი მისნი,  
მინდორს კვალი მოუკვლიეს, დანაჭლიკნი ეშმაკისნი,  
მთას ირემი წამოუხტათ, ოქროს იყო რქანი მისნი,  
უკუ მიჰყვნენ, გადირბინეს გზები უცხო ადგილისნი;

არ დამდგარან, ძმები უინით, მისდევოდნენ კვალსა მისსა,  
არა ჰქონდათ მათ გულებში, ადგილ რამე რიდსა, შიშსა,  
მთებში ნახეს ციხე-კოშკი, ანაგები თლილი ქვისა,  
მოუარეს გარემურგვლად, ვერ აკვლიეს კარსა მისსა;

სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა მუხლი მგლისი,  
ციხემ პირი იქ გააღო, იქ შეება კარი მისი,  
მუნ ციხესა ქალაქ იყო, ნაშენები ხელით ღვთისი,  
შევლეს, შიგან მოახსენეს სამძიმარი გმირი ყმისი;

კოშკში ლომი წოლილიყო, მომრევ არვინ იყო მისი,  
იმის თავით რაში ება, ტორით მიწას თხრიდა ისი,  
მარცხნივ რომ შუბი ეყუდა, წვერი ცასა ხევდა მისი,  
მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმასისი,

ერთ კუთხეში ოქრო-ვერცხლი, ნაგროვები იმა ყმისი,  
გვერდით ეჯდა, დასტიროდა ცრემლად შვილსა დედამისი,  
თავით ერთი ქალი ეჯდა, ზღვას ერევა ცრემლი მისი,  
თითებსა და თითებს შეა, წიგნი ჰქონდა ანდერძისი,

წაიკითხავს შიგ ეწერა: „მოყვარე ვარ სამთა ძმისა,  
ცამცუმ მქვია, დისწული ვარ, დიდვეზირ სულკალმახისა,  
სანამ ვიყავ მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჟავრი სხვისა,  
მოვკვდი, მხოლოდ ჟავრი გამყვა ერთი დევის, ბაყბაყისა;“

ვინაც მოჰკლავს ბაყბაყანსა, ჩემი შუბი ალალმისი,  
ვინც დედმამას დამიმარხავს, ჩემი კოშკი ალალმისი,  
ვინც მე მომივლის, დამმარხავს, ჩემი რაშიც ალალმისი,»  
ვინც სამეფოს უპატრონებს, ცოლიც, ტახტიც ალალმისი.“

თურმე იმ დევსა ბაყბაყსა, ცამცუმის შხარე სდომია,  
უბარებია: „თუ არ ხართ, ავად სიკვდილის მდომია,  
ეგე სამეფო მდიდარი, ჩემთვისა მომინდომია,“  
შეუკრავს ავსა ლაშქარი, მათვენ გზას გამოსდგომია.

ამირან თქვა: „ესე საქმე გვიჩნს იოლ თამაშივითა,  
რა მივალთ, დევთა ამოვწყვეტთ, დღეს დავუბნელებთ თვალთ ვითა,  
რაშიც და მისი ქონება, თან წარვიტანოთ ნებვითა,  
ცამცუმმაც ასე გვიბარა, მოვიქცეთ ანდერძივითა.“

ძმებმა უშალეს: „არ იყო, მქმნელი საქმისა მსგავსისა,  
«ნუ ამირან ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისა,  
გამოვიდეთ, გამოვხუროთ, საყდარი და კარი მისა,  
თორემ გმირნი დაგვძრახავენ, მკვდარი გაუძარცვავთ სხვისა..»

წყნარად გამართეს თათბირი, ომი დათქვეს დევთან ცხარი,  
შემოიერთეს რჩეული ქალაქისა მკვიდრი ჯარი,  
შესათერი პატივითაც გადუხადეს სამძიმარი,  
მკვდარს მოუარეს დამარხეს, გამოხურეს კოშკის კარი.

ბევრი დრო იყო ამირანს, დიდ ომში შნო არ ეცადა,  
სწყუროდა ბრძოლა ძლიერი, დევებთან შეყრა ეწადა,  
რა გაიარნეს წინა ხვდათ, ბაყბაყიანიც ზე გზადა,  
მათი ბეკისა გუგუნი, მძლავრად ისმოდა ზეცადა.

დევი დინჯად მოაბიჯებს, დედამინა შეიძრესა,  
მისი ქარი უამრავი, მოსდებია მინდორ-ველსა,  
ხუთი უდგას სარდლეული, მის ლაშქარსა სათავესა,  
მეთაურად თვითონ არის, შუა მხრიდან უძღვის სპებსა.

აქეთ-იქით ორი თავი, უდგას ცალკეულ ლაშქარსა,  
ორვე ძლიერი სარდალი, უმშვენებენ ორთავ მხარსა,  
უკან სამი დროშოსანი, უმაგრებენ ზურგსა ჭარსა,  
სამვე სარდლად წოდებულნი, ეკუთვნიან მისავ გვარსა.

შეეყარნენ ძმები ლაშქრით, დაუხვდნენ დევსა სპიანსა,  
ამირანი წინ გამოვა, ჭარს უცქერს სარდლებიანსა,  
იკითხავს მთავარსარდალსა, არა ჰგავს სათნოიანსა,  
გადაუდგება ავთა თავს, უმზერის ბაყბაყიანსა;

ეტყვის: „მოვედი საკითხრად, ვისკენ მიგიძღვის გზა-კვალი,  
ან თუ რა სადმე დაკარგე, ან ვისი გმართებს, რა ვალი?“  
დევი მიუგებს თვალთჭკვრეტით: „ჩემს გზაზე ვარ მიმავალი,  
ერთ სამეფო სიმდიდრეზედ, დადგმული მაქვს მყარად თვალი;

ხელმწიფეს გეტყვი ცამცუმსა, სამეფო კარიც მისია,  
თუცა თვით ცოცხალ აღარ არს, მის მხარეც ჩემად მიცნია,  
შენ რიღასთვისლა ირჯები, ჩემი გზა რას გიკითხნია?!  
გზა მომეც, ჩემი ძალ-ლონე ვამჩნევ კარგად ვერ გიცვნია!“

«ამირან დევი ბაყბაყი, ჩასაუბრობენ მტრულადა,  
ხმალზე ხელი აქვს ამირანს, ცხარე ომი აქვს გულადა,»  
კვლავ ეტყვის დევი: საქმესა ნუ გავიხდითო რთულადა,  
ნუ გადაიქცევ შენს თავსა, სვე-ბეჭის დასამდურადა!

უსმენს ამირან, იცინებს, მოჰედავს ძმებსა წამითა,  
ძმებიც მაშინვე საბრძოლო ნიშანს აძლევენ თვალითა,  
ერთს ეტყვის: „ცამცუმის მხარეს, ხელთ არ ჩაგიგდებთ ძალითა,“  
ბუკასა დაჰკრავენ გმირები, აფრენენ ალმებს მაღლითა;

ბადრი, უსუპი მტრის სპათა, აქეთ-იქიდან უტევენ,  
დევების კარის თავები, ორივე სულს განუტევენ,  
მის რაზმებს ალყას ავლებენ, გმირნი ცხვრებს მგლებსა უსევენ,  
დალის ძე შუას მიეჭრა, ბაყბაყსა ლაშქარს უქცევენ;

«ამირან, დევი შეიძნენ, მინდორი ნახეს ტრიალი,  
პირისპირ შეხვდნენ ხმალდახმალ, მინას გაჰქონდა გრიალი,  
ამირანმა დევი დასცა, არ გაახარა ტიალი,  
დასცა და მხარიც მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი.»

ხმალი ყელსა დააბჯინა, თქვი ბოლო სიტყვა კრულიო,  
მაგის მეტს ვეღარას იზამ, ჰა შენი აღსასრულიო,  
დევი შეშინდა მიუგებს: დღე დამანიე რთულიო,  
სთხოვა: მაკმარე რაც მიყავ, რაცა მაქვს დამართულიო;

«ეტყვის: „ნუ მომკლავ დალის ქევ, ხელი გაფიცო ხმლიანი,  
მანდილი დედაშენისა, თაკლაი ოქროიანი,  
ზღვას გაღმა იმ ქალს გასწავლი, სახელად კამარ ჰქვიანი,  
საკამაროსა კაბასა, შვიდი დღე უნდა მზიანი,

შვიდკვირეული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი,  
წასვლა ადვილი იქნება, მოსვლა გახდება გვიანი,  
მოყვარული ხარ ომისა, გზა იქ გექნება მტრიანი,  
თან შიკრიკს გამოგაყოლებ, ვაუი არ ღალატიანი;»

ვიცი მის გამო სამეფო, დაგდებული გაქვს მზიანი,  
შიკრიკი ზღვამდის მოგყვება, მას იქით მთანი კლდიანი,  
მოსჩანან კლდენი ცათამდის, ზე აზიდულნი ქვიანნი,  
ზედა დგას ციხე-ქალაქი, მტკიცეა გალავნიანი;

ის არის ქაჯთა სამეფო, თვით მეფე უზით გრძნეული,  
შენი კამარიც იქა ჰყავთ, იმ მაღალ კოშკში მწყვდეული,  
კოშკამდე ჟარით ვერ მიხვალ, გზა ვიწროა და ხვეული,  
გნახავენ, ომს დაგინყებენ, ბრძოლა მოგიწევს წყეული.

თუ ქაჯებს ომსა მოუგებ, ვაუი გახდები სვიანი,  
მიხვალ საცოლეს დაიხსნი, არც ახლა არის გვიანი,  
თუ არ მიუსწრებ გახდება, შენი კამარი ქმრიანი,  
ქაჯთა ხელმწიფე მის წულსა, ცოლად აკუთვნებს ჭკვიანი.“

რა მოუსმინა დალის ძემ, უნდოდა ცოცხლად გაშვება,  
ეტყვიან: „არ გეკადრება, მსგავსი შეცდომის დაშვება,  
იცი მათი ხასიათი, დევი ჩვენ არ მოგვეშვება,  
შემოიკრიბავს ავ-ქაჯებს, არ გვეღირსება რამ შვება!“

ბევრი ურჩია ორმა ძმამ: „ნუ რისხავ ღვთისა შვილებსა!“  
ბადრი უსუპიმ, ამირან კვლავ ბევრი გააფრთხილესა,  
მსგავსი ამბები მოუყვნენ, გმირი მთლად გააწბილესა,  
ამირან ბაყბაყიანის მოკვლასა დააპირებსა;

დევი ეტყვის: „მომიხოცეთ, სპა ორვე გვერდსა მდგომია,  
ორივე ჩემსა სარდალსა, სიცოცხლე თვალთ ჩაქრომია,  
ის ორი თავი ხო მომჭერ, ჩემიცა დამითმობია,  
სამვე თავკაცთა სიცოცხლის მოსპობა მოგინდომია;

რადგან შენსას არ დაიშლი, ამოგვწყვეტ შენივ ხელითა,  
ერთსაც შეგთხოვ სიკვდილის წინ, სავედრებელსა ენითა,  
რა ჩვენ ყველასა დაგვხოცავ, განაჩენითა ძნელითა,  
წინ მოდგებიან ჩემ თავთან, ყმა დროშოსანნი ნებითა,

სამნი არიან ჭაბუკნი, უწვერო მხედაროსანნი,  
ჟერ კარგად გამოუცდელი, ომშია სასწართოსანი,  
მათ სიდიადეს ერთ დროსაც, ქებად იმღერენ მგოსანნი,  
ჟარსა უდგანან მცირესა, ჩემს უკან ვით დროშოსანნი,

სამივეს სამსა ალამსა, მშვენიან სამნი ჭიანი,  
წითელი თეთრი და შავი მებრძოლნი, სახელიანნი,  
მათა ნუ დაპხოც, ამირან, იქნები სვე მაღლიანი,  
ნუ დაღვრი ყმათა ნორჩ სისხლსა, ჰქმენ საქმე მოწყალიანი!“

ასრულა თხოვნა ბაყბაყმა, მწარე დრო დააწიესა,  
მის მოწინავე ლაშქარი, სრულიად ამოწყვიტესა,  
უკანით მდგომნი დევ-ჯარნი, სვლით მიჰყვებიან წინებსა,  
მოვიდნენ ის დროშოსანნიც, წაღმა წარუდგნენ გმირებსა.

ბადრი უსუპი ეტყვიან: „ისმინე ეს რჩევაც ჩვენი,  
ამირან არ უნდა იყო, მაგათი ცოცხლად დამრჩენი,  
არ არიან ეგ ჭიები, სასიკეთოდ გამომჩენი,  
ბაყბაყი მოკალ, მათაცა ვარგუნოდ ეს განაჩენი.“

«ამირან უთხრა: „რას ამბობთ, მაგან რა უნდა მიყოსო?  
დევმა რა მიქნა მოთავემ, ჭიამ რა უნდა მიყოსო?  
იტყვიან: „ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა უნდა მიყოსო,“  
იმ დევის თხოვნას ვასრულებ, სამვე ცოცხალი იყოსო!

არც იმა ბაყბაყიანის მოკვლა მინდოდა ჩემითა,  
მოვკალი ისე მოვიქეც, ვით იყო თქვენი ნებითა,  
მათ კი ცოცხალსა დავტოვებ, გაუშვებ თვისა გზებითა,  
აწ ისე ვიქმნი საქმესა, მესურვებოდეს მე ვითა.“

ძმებმა უწყინეს, მიუგეს: ვითაც გსურს ისე ჰქენიო,  
ოღონდ დაიწევ სიძნელეს, ჩვენ არ ვართ დამხმარენიო,  
შიკრიკსა უთხრეს, გაგვიძეხ, გვითხარ სავალი ჩვენიო,  
აჩქარდი, გზანი გვასწავლე იმ ზღვამდის გასავლენიო.

გაუძლვა წინა შიკრიკი, ორი დღე-ლამე ატარა,  
სხვადასხვა გზებით სამივე, იგივე მხარეს ატარა,  
როდესაც ძმები ორჯერვე ერთ გზაზე გამოატარა,  
აუღო ეჭვი უსუპმა, არე ერთმანეთს აღარა.

უსუპი ეტყვის ამირანს: „შიკრიკის მახე ვიცანი,  
«ვერ გაგიგია ამირან, არ გამარჯვების ნიშანი?!”  
მერე შიკრიკსაც უტია: „თუ არ ხარ თავის მისანი,«  
გზანი სწორედა გაიხვენ, მისადგომელნი ზღვისანი!

იგივე მხარით გვატარებ, შენი ღალატიც ის არი,  
«მესამედ იქვე მოვედით, გუშინ რომ ვსტყორცნე ისარი,  
მოგვატყუებ და იცოდე, შენი დამსჯელი ვინც არი,  
აგიღო, ისე გაგთალო, ვით საკიდობნე ფიცარი!..»

ამირან უცქერს ბრაზითა, თვალი დაუდგამს ცხარედა,  
ეტყვის: გაგიხდი მაგ მიწას, სადაც ხარ, შავ სამარედა!  
შიკრიკსა გული უსკდება, უსიტყვოდ დგას, მდუმარედა,  
შიშითა გზას გაუყვება, ოფლსა იწურვის მწარედა.

დღენი განვლეს, მიეახლონენ, ქაჯთა სამეფო მიწასა,  
დინჯად გასცემის ამირან, სანაპიროსა ზღვისასა,  
თვალინ უდგება ღელვითა, სახენი კამარისასა,  
ზღვას ერთვის მისი გონება, ლანდი აქ დიაცისასა.

დასხდნენ, თათბირი დაიწყეს, ბრძოლად მომდევნო დღისთვისა,  
ამირან ეტყვით: „გვმართებსო, ბჭობა ამა გეგმისთვისა,  
ზღვის იქით მარტო გადავალ, მოსატაცებლად მისთვისა,  
ზღვის აქეთ ძმებსა დაგტიებთ, ჩასაფრებულთა მტრისთვისა,

გამორჩეული მებრძოლნით, გავცურავ კარპაჭებითა<sup>1</sup>,  
მიგალ, ციხესა ვუმსტოვრებ<sup>2</sup>, არეს მოუკვლევ ჩემითა,  
ჩემი მზის კიათს შევიტყობ, გულსა მიწვავდეს მე ვითა,  
გამოვაპარებ, ვიტაცებ, ვაგელვებ რაშა ცხენითა.

რა ფეხდაფეხ მომედევნონ, ლაშქარითა ზღვას იქითა,  
თქვენც იცით, რომ არ ეგების, წალმა შეყრა მცირე სპითა,  
რომ პირისპირ ასჭერ გვჭარბობს, ქაჯთა ჟარი სიმრავლითა,  
მსწრაფლად ნაპირს მოვექცევი, კამარითა, მოვალ ზღვითა;

გამოვალ, გამოვიტყუებ, ავ-ქაჯთა უზღვავ ჟარებსა,  
მათი ხელმწიფე ლაშქარსა, ჩემს კვალზედ გაატარებსა,  
მოექცევიან მახესა, სარეგვავს<sup>3</sup> დასადარებსა,  
თქვენც საფარიდან შეუტევთ, მტერი ვერ გაიხარებსა.“

1. კარპაჭი – ერთგვარი მცირე ნავი (სულხან საბა).

2. ვუმსტოვრებ – დავტვერავ.

3. სარეგვავი – მახე ერთგვარი (სულხან საბა).

ძმებმა უწონეს თათბირი, ქებანი უთხრეს წყლიანი,  
შემოუკრიბეს მებრძოლნი, ამირანს სანდომიანი,  
საღამო დადგა გრძნეული, მდუმარე, არა ხმიანი,  
ბრძოლა უსურვეს ერთურთსა გმირებმა ომახიანი.

«ამირან და ძმანი მისნი სამნივ ისხდნენ ზღვისა პირსა,  
ამირანი ხმალს ლესავდა, ძმანი მისნი შუბის პირსა,»  
მათვე კარი ბევრის-ბევრით<sup>1</sup>, მოდგომიან განაპირსა,  
ომი უდევთ გმირებს გულში, არ უხსნიდათ დანა პირსა.

წყალსა შევიდა დალის ძე, წყნარად გაუყვა ღამითა,  
შუაგულ ზღვიდან გამოჩნდა, ქაჟების ციხე თვალითა,  
შემდგარი აკრა<sup>2</sup>-კლდეზედა, ნახატსა ჰგავდა ყალმითა,  
ღრუბლებს აჭრილი, თითქოსდა ცას ჰკიდიაო რამითა.

რა ციხე-ქალაქს მიადგა, კაჭვ-აბჯარ დამალულითა,  
ტანსა ოქსინო<sup>3</sup> ემოსა, მდიდრულად, ოქრო რთულითა,  
შევლო ქალაქი იოლად, გზა შესაღწევი რთულითა,  
ვერა შეატყვეს, რომ მათი მომტერე იყო გულითა.

ამირან შიგან ქალაქსა, მოვლო ყოველი მხარია,  
იპოვა მონამსახური, გაუბა საუბარია,  
შეპირდა: ოქრო, საუნჯე, ჰატიოსანი თვალია,  
ასწავლებინა, მოქრთამვით, კოშკისა ყველა კარია.

- 
1. ბევრის-ბევრი – 100 000 (სულხან საბა).
  2. აკრა – კლდოვანი ზღვის პირი (სულხან საბა).
  3. ოქსინო – ოქრო ქსოვილი (სულხან საბა).

მუნ სასახლესა შეუვა, გულითა მით მამაცისა,  
შეიტყო ადგილ-სამყოფი, ნატაცი იმ დიაცისა,  
მწყვდეულად მყოფი კოშკია, თვალთუნახავად კაცისა,  
ავ-ქაჯთა მიერ ჰყობილი, ვარსკვლავად ვით დია ცისა.

მონამ უჩვენა იდუმალ, სადაცა ტყვე კამარია,  
კარს ედგა ექვსი გუშაგნი, მხნენი და ტანმაღალია,  
ამირან მცველთა უტია, ყველა გახადა მკვდარია,  
მძლავრად შეხეთქნა ერთურთსა, წიხლითა ლენა კარია,

შეიჭრა, ოთახს იხილა, მტირალი მეფის ასული,  
იცნო და გულსა ჩაიკრა: აწ იქნებიო დაცული!  
კამარი ეტყვის: „ვიყავი, მკვდართა სახამდის დასული,  
ყელსა ეხვევა, უშფოთავთ, ორივეს გული და სული;

რა წასვლას დაპირებენ, კარებში გამოსვლისასა,  
კამარი ამბობს: „მოვნახავ, კაბასა მოახლისასა,  
ჩავიცვამ, თავს დავიბურავ, გასვლისას სასახლისასა,  
არა გვამჩნიონ, არ გვიცნოს იმ ავმა თვალმა მტრისასა,“

გარე გავიდნენ ქალაქსა, თან გაიყოლა მხლებელი,  
ამირან ეტყვის: შენ იყავ, ამ საქმის მომგვარებელი,  
დიდი დამხმარე, ჭკვიანი, ჩემთვის დიდი მარგებელი,  
უბოძა აუარება, განძი ფასდაუდებელი;

კოშკი კი ვინმე მსახურნი, ჭურჭლისა დამტარებელნი,  
წაადგნენ, ნახეს ნაქნარნი მცველებზე დაუნდობელნი,  
ლენეს ჭურჭელი, იტაცეს სახეზე, მოთქმითა, ხელნი,  
მორთეს კივილი, შეყარეს სასახლის მცველნი ყოველნი;

ყვირილითვე გაემართნენ, ცაში აჭრილ კოშკის წვერსა,  
ყველას ახსენეს ამბავი, მეფეს თუ სამეფო წევრსა,  
ქაჯთ ხელმწიფე სიმწრისაგან, დგას, იგლეჭავს ცხარედ წვერსა,  
ბრძანებს: „მწარედ გადავუხდი, ჩემზედ ამის დამანევსა!“

ამირან მოჰქრის ზღვისაკვნ, მოაფრენს რაშსა ქებულსა,  
შორიდან ამჩნევს მტრის კარსა, მომდევარს, გამეხებულსა,  
კამარსა უმზერს დალის ძე, შეამჩნევს აღელვებულსა,  
მიმართავს ენა ტკბილადა, ლიმილით გახუმრებულსა:

«ვაი იმ ცხენის ზედასო, რაზეც კამარი ჟდებაო,  
ქვეშია, ფეხის ფლოქვებზედ ნალები დაუცვდებაო,  
ზეშია, ასალ საგებზე, სულ ტყავი გადასძვრებაო,  
მაგრამა მაინც გადიფრენს, ჩვენს მხარეს დაადგებაო.“

კამარ პასუხობს მწუხარედ: „მალე გავიდეთ მხარესა,  
თორემ მდევნი და ავქაჭი ცხენს შესხდებიან ჩქარესა,  
მალევე მოგენევიან, ომს გაგიწევენ ცხარესა,  
დაგვხოცენ ან შეგვიპყრობენ, ცეცხლით დაგწვავენ თვალებსა.“

ამირან ეტყვის შშვიდადა: „გზასა გავივლით რბენითა,  
თუცა სიძნელეც შეგვხვდება, აღუნერელი ენითა,  
ვანანებ მაინც მწარედა, ამოვწყვეტ ჩემი ხელითა;  
არა ვართ ჭალის კურდლები, რომ დაგვიჭირონ მწევრითა,

არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ძალითა,  
მოვლენ და მეც აქ დავხვდები, ამ ჩემი გორდა ხმალითა,  
უსუპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა,»  
ნახავ, რომ ქაჯთა ლაშქართა, დღეს დავუბნელებთ თვალითა!“

გამოვიდა კამარითა, ზღვას აქეთა გამოცურა,  
აბჯარი კარგად მოირგო, მუზარადი დაიხურა,  
ამოვარდა ქარიშხალი, არე უცხოდ დაიბურა,  
ამირან თქვა გაოცებით: „ცაც გვრისხავსო ზეცით თუ რა?“

კამარი ეტყვის: „ისმინე, ნათქვამი ჩემი რჩევითა,  
როს ავსულებთან იბრძოლებთ, ხანგრძლივსა ომს მორჩებითა,  
თუკი იმარჯვებ მათზედა, დასცემდეთ თქვენივ ხელითა,  
გიჩვენებ ქაჯთა ხელმწიფეს, მათ ძეთაც ნებით ჩემითა,“

კვლავ რქეა: „ოდეს მტერზედა, შეიქმნა გამარჯვებული,  
ჩემთან მოხვიდე, შენთვისვე ვიქნები მარად რგებული,  
ხმალს ნუ ჩააგებ ქარქაშსა, მოდი ხმალამოლებული,  
ნეტარ გიხილავ, ჩემსავე რჩეულად, გახარებული.“

მოვიღნენ ქაჯთა კარებიც, ნაპირს მოადგნენ უხვადა,  
პირველ რაზმებსა დალის ძე, მარტო დაუხვდა მუხთლადა,  
მასთან შეყრა მოწინავეთ, სანანებლად გაუხადა,  
ზღვის გადმოლახვა მომდევრებს, მწარედა გადაუხადა;

მოადგა მათი ხელმწიფეც, უამრავი ლაშქარითა,  
გაივსო მთელი ზღვის გული, მათი ნავებით ჩქარითა,  
სტოლებით<sup>1</sup> მოდგნენ ნაპირსა, კარი ჩანდა უშქარითა<sup>2</sup>,  
ამირანი ნიშანს აძლევს, მტერსა უცქერს მუქარითა,

ანაზღად ცხენი მოსხლიტეს, დალის ძემ ზურგი აჩვენა,  
უკუ იქცია სპამ პირი, ტყე-მთებისაკენ აჭენა,  
ეს იხილეს ავქანებმა, დასტყობოდათ გულსა ლხენა,  
მტერი გარბისო ბრძოლიდან, დაუწყეს უკან გადევნა;

რა შეიტყუეს რაზმები, ძმებს ყიუინა დაუცია,  
ბადრიმ, უსუპიმ, ამირან სპა ერთიანად უსია,  
მომწყვდეულ ჭარებს სამივემ, ყოველი მხრიდან უტია,  
ალყის შემორტყმას, ქაჯთათვის, დიდი თავზარი უცია.

«მდევთა, ავსულთა თავზედა, სულ ქვა და ლოდი ცვიოდა,  
იმათ ნაომარ ადგილზე, მიწა და მყარი ხვიოდა,»  
ყოველი მხრიდან ძლიერი, ბუკი და ნობა ჰეიოდა,  
ხევიდან ნაღვარ ჩანჩქერად, ქაჯების სისხლი დიოდა.

1. სტოლებით – დიდი საბრძოლო ხომალდები (სულხან საბა).  
2. უშქარი – მილიონი ძვ. ქართულად (სულხან საბა).

ძმებმა ერთად მტრის ლაშქარი, დახოცეს, არ დაინდესა,  
გაქცეულნი მათი სპიდან, შეეხიზნენ ველსა-ტყესა,  
მისდიეს და დარჩენილნი ყველა ცოცხლად შეიპურესა,  
ჭარი სრულად ამოწყვიტეს, ცათა ღმერთი შერისხესა.

გასრულდა ბრძოლა არესა, შავად არმური სდიოდა,  
შორიდან, ველზედ ლაქადა, ძონისფერივით ღვიოდა,  
ნაომარ-ნაოხარალზე, ნადირ-თრინველი დიოდა,  
დახოცილთ თითქოს ვით დედა, ზედ ქარი მწარედ ჰკიოდა!

ყოველი ღვთისა ნებითვე, დანაბად-განაჩენია,  
ამბობენ: მათი სვე-ბედიც, უფლისა განაჩენია,  
ბევრი მოყვარე დაკარგეს, ბრძოლის ველს დანარჩენია,  
თვით ძმები ბადრიც, უსუპიც, სიკვდილს ძლივს გადარჩენია.

მზე ჩაეწურა, კამარას იასამნისფრად ჰთინავდა,  
სხივების ბოლო კიათი, უჩვეულოდა ბრწყინავდა,  
მთის ხევებიდან მძვინვარედ, ქარი დროდადრო გმინავდა,  
მიყუჩებულა გარემოც, თითქო დამაშვრალს სძინავდა.

კამარი მისსა მიჯნურსა, ხმლით მომავალსა ხედავდა,  
ყმას მკლავსა წყლული ემჩნოდა, ნეკიდან სისხლი წვეთავდა,  
ხედავდა ხმალშიშველითა, დიაცი კრთოდა, ღელავდა,  
ქარი უშლიდა თმა გრძელსა, გული მხურვალედ ფეთქავდა;

გაეგება სიხარულით, ჩაეხუტა თვისსა გმირსა,  
მკერდში იკრეს ერთმანეთი, უკოცნიან ბავეთ, პირსა,  
ქალი მკლავებს შემოაჭდობს, თავჩარგული ჩუმად ტირსა,  
ამბობს: „ნუთუ საწუთრომან, მოგვაშორვა მწარე ჭირსა.“

მონახა ბადრი, უსუპი, გადაეხვია ძმურადა,  
პყრობილი ქაჯთ მოთავენი, წინ ჩაიმწკრივა სრულადა,  
გვერდსა დაისვა კამარი, შესცქერის ტყვეებს მტრულადა,  
ეტყვის: „მაჩვენე ქაჯთ მეთე, ყოთა ვაწიო რთულადა.“

კამარი ტყვეთა უთითებს, მეფეს სკნობს ერთი ნახვითა,  
ამირანს ეტყვის: მიცნია მთავარი მტერი სახითა,  
მეფე გაუგებს, შესძახებს, მწარედა სიტყვა მკვახითა:  
„წყეულიმც იყავ ჩაუგდე, მტერს ჩემი თავი ძალითა!!“

«შეხედეთ ბრიყვსა ქალასა, ეს ვინ არჩია მამასა,  
დაგვიმხო მთელი სამეფო, სვეც ანაცვალა ამასა,  
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა?  
რად განვებდა ძუძუსა, გირწევდა აკავანასა!“

კამარი ეტყვის პასუხად: „რა ენით ჰქადებ ამასა?  
არცა ვარ თქვენი გაზრდილი, არცა მეტყოდით ნანასა,  
მიტაცეთ, იავრად მყავით, ძალით მამორეთ მამასა,  
დამსვამდით გაჟიუტებულს, მაღირებოდით დანასა!“

რა წამს მოუსმენს დალის ძე ყოველსა, კამარის თქმულსა,  
ემღვრევა გული ბრაზისგან, სახით გავს გაწბილებულსა,  
დასძახებს: „გამოვასწორებ, საქმესა გაძნელებულსა!“  
დახოცავს: მეფეს, ორვე ძით, მის ყველა წარჩინებულსა.

შევლენ ციხეს ქაჯებისას, დააწევენ ყოფას რთულსა,  
წამოიღებენ სრულადა, ავლას მორთულ-მოკაზმულსა,  
წამოვლენ, წამოიყვანენ ლხენითა მეფის ასულსა,  
მოიგონებენ გზაშია ავ დროსა, ან გარდასულსა;

მოდის ამირან ჟარითა, მთა-ბარსა გადმოიარებს,  
მოდგება მხარეს, იხილავს, ლაშქარი ველსა ტრიალებს,  
სპა მრავლად შლილი არესა, მღერის და მედგრად გრიალებს,  
სათავეს მშვენის სარდლობა, დროშა-ალამი ფრიალებს;

ძმები იცნობენ მეთაურთ, მყისვე სამთა დროშოსანთა,  
ცოცხლად გდებულთა ჭიათა, ბაყბაყდევის ნათესავთა.  
უგროვებიათ მრავლადა, ლაშქარი ყმა ცხენოსანთა,  
გველეშაპს მსგავსნი მოიქცნენ, ალმითა კვლა გველოსანთა.

თვალს უცემს ქარსა დალის ძე, ომი სურს მათთან ცხარია,  
იძახის: ჩვენსა შემბმელსა, არსადა გაუხარია,  
ძმებს ეტყვის: სხვა გზა სხვა ღონე, აქ მეტი არცა არია,  
შავი მე, თეთრ-წითელი თქვენ, ერთად დავრაზმოთ ქარია.

მიუგეს ბადრიმ, უსუპმა: „აღარ გვსურს ომი წყეული,  
დავაგდეთ ჩვენი მამული, ჩვენს უპატრონოდ ქცეული,  
მაგათ დავზავდეთ, ვუგზავნოთ, სიმდიდრე ძვირი რჩეული,  
დაგვთანხმდებიან, არვის სურს კერა გაუხდეთ ქცეული;

ამირან ამბობს: „ამაოდ ჰქადაგებთ ცრუსა მცნებასა,  
თუ არ დავხოცავთ მაგათა, როგორლა ვიგრძნობთ შვებასა?!  
აროდეს მოგვცემს ეგ მტერი, იცოდეთ, მოსვენებასა,  
ბრძოლა ვაჩვენოთ ჯობია, მოპყვით ჩემსა ნებასა.“

უსუპი ეტყვის ბრაზითა, შეჰკადრებს მწარედა ენით:  
„შენი საცოლის გულისთვის, სულ ძმები დავილალენით,  
დავტოვეთ ავად სამეფო, უკანაც დაგედევნენით,  
მაგ სიჯოტის წყალობით, ვეღარა გავიხარენით!..

ეგენი მაშინ მოგეკლა, ვითარცა დაგიბარეა,  
გზას გავივლიდით დღეს მშვიდად, წყნარი გხვდებოდა არეა,  
გირჩიეთ, არა გვისმინე, დიაცებრ შეიწყნარეა,  
შენ გაითუჭე საქმენი, შენითვე მოაგვარეა!“

«ამირანს გული მოუვა: „გვერდში რა გველი მგდებია!  
უსუპო, ჩემი სიმუხთლე, სულ მუდამ გულში გდებია,  
ტვინი სადები თავშია, ჩაბალახშია გდებია,“  
არ მინდა, შენ ნუ მიშველი, წადი გაიხვენ<sup>1</sup> გზებია!

1. გაიხვენ – გაიკვალე, გაიხსენ

ბადრს ეტყვის: „ორნი შევებათ, სხვა ჩვენთვის ან ზედმეტია,  
ჩვენი რაზმები მტერზედა, კარად ისედაც მეტია,  
სწრაფად შეუტევთ, დავარბევთ, თავზედა დავსცეთ რეტია,  
მაგ ჭია-გველთა წიწილი, ჩვენივე გასაწყვეტია.“

მიუგებს ბადრი ამირანს, ვით უსუპი უარითა,  
„გირჩევნის ეგე საქმენი, რომ მოაგვარო ზავითა,  
სჯობს სასახლისკენ ვიჩქაროთ, აუტკივარი თავითა,  
ქვეყნად ვერ დალევ ავგველთა, რომც დაიშრიტო ჭანითა,

უჩვენოდ ვერას გახდები, ვერცა სძლევ შენი ძალითა,  
გვიჰერე, უკან მოგვყევი შენს ძმებსა, ჩვენი კვალითა...“  
ამირან ბადრის უწყრება: „ნუ მენახვები თვალითა!  
მაშ ამბობ ვერას გავხდები, უშნო ვარ ჩემი ხმალითა?!..

«მაშინ სად იყავ შავ ბადრო, როს ჩემი ხმალი წრთებოდა,  
ცა ჭექდა, არე გრგვინავდა, ნანატრი უამი დგებოდა,  
მიწა შეაზედ სკდებოდა, სამჭედლო ექანებოდა,  
მჭედლები მემჭედურები, ერთმანეთს ეთარებოდა,

არა ყოფილხარ ძმავ ბადრო, თერი აქატი გქონია,  
დაჭე და ჰკერე ტყავები, სხვა ხელი არა გქონია,»  
მარტოც გავხდები ომადა, ვეყოთი, შენ რა გგონია?  
უთქვენოდ წყეულ მტერთანა, მრავალი ბრძოლა მქონია.“

დატოვეს ძმებმა ამირან, გამოემართნენ მდუმარედ,  
მოჰყავთ კამარიც, დიაცი, ჭმუნვარედა ზის, მდუღარედ,  
ძმებს ეტყვის: „მარტო შეუტევს ამირან ძალად მქუხარედ,  
ვერა სძლევს, გულიც ცუდს მიცნობს,“ ამბობს თვალცრემლით, მწუხარედ.

ძმები კამარს ამშვიდებენ, წყლიანად, სიტყვა თბილითა:  
„ხვალევე მივალთ, ვუშველით, გავტესლავთ სისხამ დილითა,  
შემოვირიგებთ როგორმე, მივმართავთ ენა თბილითა;“  
დიაციც გულს დაიშვიდებს, კარავს მიწვება ძილითა.

ძრწის მძინარი ძრწუნვად ქმნილი, თან სწყრებოდა მოძულვითა,  
ძილსა შიგან, ძოწეულსა ძიძგნის ძაძას მოძეძგვითა,  
ძლივს თვალთ ახელს, გაიღვიძებს, ძმებს მოძებნის იმ ღამითა,  
ჰპოვებს კარავს, გააღვიძებს, კადება მათ წინ მოღუშვითა.

ძმები უცქერენ კამარსა, სახითა გაკვირვებითა,  
დიაცი ეტყვით: „ვევლინე, ამ ქვეყნად მნარე ხვედრითა,  
სიზმრადა ვნახე ზმანება, სახითა საკვირველითა,  
მე ან გიამბობთ, თქვენ გმართებთ საქმის ქმნა, დაფიქრებითა...“

ვიხილე ცხადად მთა-ბარი, ქვემორე, მინდვრით ტრიალი,  
ზე იდგა სამი ურჩხული, გველემაპივით ტიალი,  
წითელი, თეთრი და შავი, გაჰქინდათ ორომტრიალი,  
ცეცხლებსა ჰყრიდნენ პირიდან, იდგა იმათი ხრიალი;

გამოჩნდა იქვე ამირან, ეულად, მოკლე ხმლიანი,  
უტია სამვეს ჟიქურად, ომი დაუწყო ხმიანი,  
ებრძოდა მედგრად გველეშაპთ, გმირულად, ომახიანი  
თეთრიც მოკლა და წითელიც, თვალთ დაუბნელა დღიანი.

შეება შავსა ურჩხულსა, დაღლილი ძალად მაშვრალი,  
ვერ იგერია, ვერ ურტყა, სრული ძალითა მას ხმალი,  
შავმა აიღო ჩაყლაპა, ვიხილე ვითა მართალი,  
აღარ ემჩნოდა ამირანს სიცოცხლის რამე მარცვალი;

რა ჩაინთქა გმირი ავმა, შავი ზღვისკენ გაემართა,  
იმღეროდა, თან ალამიც, გამარჯვების აღემართა,  
ის-ის იყო დიდი ამბით, ლხინი უნდა გაემართა,  
უცაბედად გულ-მუცელის მწარე გვრემა დაემართა;

იკლაკნებოდა, კიოდა, ტკივილი არ ასვენებდა,  
მივიდა მყისვე დედასთან, შესჩივლა რაც ახელებდა:  
„მირჩიე, ჩემსა სიმწარეს რა ხელი გაანელებდა?  
მსგავსად, ტკივილი ჩემ თავსა არასდროს არ მაჩვენებდა.“

დედა მიუგებს მწეხარედ: „რატომ ხარ ასეთ დღეშია?  
ჟერ არ მინახავს ჩემი ძე, ამგვარად, სიბეჩეშია,  
შიშის ზარს სცემდი ავადა, ახლა რას შემომხვნეშია?!  
თუ ვინმე ჩანთქე, მის გამო, ჩავარდი განსაცდელშია?!”

ქარცეცხლი ამბობს: „ძე იყო, ოქროს წვერ-ულვაშ, თმიანი,  
ხმალსა ხმარობდა მოკლესა, სატევარ-გორდაიანი,  
ბაყბაყიც იმან მოგვიკლა, ებრძოდა ორთა ძმიანი,  
ჩვენცა შეგვება, გვიტია, ყმა ჩანდა სახელიანი.“

რა მოუსმინა დედამა, თავსა დაეცა ზარია,  
„ამირანია, დალის ძე, მონახე რკინის სარია,  
უშველებელსა სარ-ძელსა, შემოახვიე ტანია,  
შიგან დაამტვრევ, სხვაგვარად შენი ხსნა არსით არია.“

ესაა სიზმრად რაც ვნახე, უბედურების ნიშანი,  
ამირანს შველა სჭირდება, მისი ხითათი ვიცანი,  
თუ არ უშველით დავღუპავთ, ესა მაქვს გულის მისანი.  
ზმანება ცხადად ხილული და სახოვნება მისანი.“

მოუსმენენ ძმები კამარს, მაშინვე აიშლებიან,  
იმავ ღამესვე ლაშქრითურთ, შარაზე გაიშლებიან,  
მთვარე უნათებთ შუქით გზას, მწყობრით არ დაიშლებიან,  
ამბობენ ძმის გამწირველნი, შესაფრად დაიშქებიან.

ცოტა გზაც განვლეს, სიბნელე რიურაუის ფერმა შეცვალა,  
ლაშქარმა ნაცნობ არეში შევლო ადგილი შეკვალა,  
ბუნების სახის სიტურთე, ველად სურათმა შებლალა,  
მისი ნახვითა ყოველი, შეუცნობელად შემკრთალა;

ველი დახვდათ ნაომარი, საესე მოხოცილ ჟარითა,  
მონახეს ყველაგან დაჭრილნი, მწარედ ნაკოდნი ხმალითა,  
იცნეს სპა ამირანისა, მებრძოლნი ცოცხალ-მკვდარ ვითა,  
უწამლეს, ჰკითხეს: „თუ ვპოვებთ, ჩვენს ძმასო, რომელ კვალითა?“

მათაც მიუგეს ყოველი, ნანახი მათი თვალითა,  
ამირან მტერსა შებმია, შეუტყვია ჟარითა,  
სამიღან ორი სარდალი, უწყვიტავს თვისივ ლაშქრითა,  
მესამეს დაუძლევია, ხელთა უგდითა ძალითა.

მისდიეს მყისვე მდევრებად, თავ-ბედს სწყევლიდნენ მგმობელნი,  
თქვეს: ყოფილანო წყეულნი, ამირანისა მპყრობელნი,  
დღედაღამ სდიეს კიქურად, შეიქმნენ დაუდგომელნი,  
დილაადრიან შენიშნეს მტრის სპანით მდგომელნი.

ძმებმა, ბადრიმ და უსუპიმ, მცირე თათბირი გამართეს,  
ემზადებიან ომისთვის, საბრძოლო დროშა აღმართეს,  
ორივემ მათი ჟარები სხვადასხვა მხრიდან წამართეს,  
რისხვასა ჰგავდა ღვთისასა, რაცა მათ ავთა დამართეს.

ორივეს ტყვე ამირანი, სპის თავში ეგულებოდა,  
ბადრი გაიჭრა, უსუპი მას როგორც ეუბნებოდა,  
გეგმის მიხედვით, მტრის ლაშქარს, წინიდან დაუდგებოდა,  
ყველაზე მარდი ძმებშია, სხვა გზებით დაუხვდებოდა.

უსუპი კი უკუ მიჰევა, მსროლელთ თავი მოუყარა,  
მტერმა მდევრად შეამჩნიეს, მყისვე ფეხსა მოუჩეარა,  
გველოსანი დარაზმულად მიჰევებოდნენ ფარა-ფარა,  
ყმამან მათ სპას შორიდანვე, ცად ისარნი გაუჯარა,

უსუპმა ავთა ლაშქარსა, უკუ რაზმები მოსწყვიტა,  
ისართ წვიმებით მათ ჭარსა ცხრა რიგად კუდი მოსწყვიტა,  
წინა მიუხდა ბადრიცა, საჭირბოროტოდ მოულიტა,  
თავი-ბოლოდან ორივემ, მტერი სრულად ამონწყვიტა.

გმირსაც ამ დროს, შეა ჭარში ძმების მოსვლა გაუვია,  
ბადრის სპის ბუკის ყივილი, ამირანს, რომ შეუცვნია,  
უგლეჭავს მყისვე ბანრები, ხმალზედაც ხელი უვლია,  
ბრძოლითა, ლაშქრის გულიდან, გზა ხმლითა გამოუქრია.

მტერი ავად დალენილი, ველსა მიღამო ეყარნენ,  
ცოცხლადა გადარჩენილნი, ტყე-ხევსა მიმოეპარნენ,  
ომსა მორჩნენ, სამივენი, ურთიერთსა შეეყარნენ,  
ერთმანეთსა კრძალვითა ხვდნენ, გულიანად გაეხარნენ.

დალის ძისთვის ტყვეობაში, თმა-წვერი გადაეპარსათ,  
საქვეყნოდ, დასამცირებლად, მტერს ტყვე გმირზედა ემასხრათ,  
შეხედეს ძმებმა მიუგეს: „აწ დაგვარგავთო ვეღარსათ!“  
დასცინეს, უთხრეს: „მსგავსი რამ, არ გვინახია ჩვენ არსათ!“

უსუპი ეტყვის სიცილით: „მეტად გამსგავსებ სხვასაო,  
ამირან უწვერულვაშოდ, გოჭს გავხარ ხახულასაო,  
ბალანიც მოგშორვებია, ძლივსლა გემჩნევა თავსაო,  
შინაცა ვერავინ გიცნობს, არ გაგიღებენ კარსაო!“

ამირანს ძლიერ ეწყინა, გული რისხვითა აღევსო,  
უტია: „წესით ორპირი, საკადრის ჰასუბს აგებსო!  
«კაცი გამოვა კაცობრი, წვერი არ დააკაცებსო,  
თხასაც ასხია ბალანი, მაზმანი დაათვასებსო;»

ძმა არ ყოფილხარ შენ ჩემი, არამედ მწარე მტერია,  
გამწირავი და ორგული, ჩემი ძირისა მთხრელია,  
ჩემი მარცხი კი მტრის ხელით, შენთვის შვებისა მგვრელია,  
გადავრჩი, ახლაც დამცინი, შენგან რაც არ საქმნელია.

არ მინდა თქვენი არც ძმობა, არც მტრობა, არცა ლეშია,  
თქვენი წყალობით ჩავვარდი ავადა ასეთ დღეშია!  
ბადრი მიუგებს: „ამირან, ნუ ამბობ მაგას ჩვენშია,  
ნუ იწყენ, იცნობ უსუპსა რაც არის მაგ საქმეშია.“

წამოვლენ ძმები ერთადა, თან მოჰყავთ მანდილოსანი,  
უსუპ გაუხდა ამირანს, ვით ენატკბილი მგოსანი:  
„მინდორზე გადავდიოდი, დავკრითვე ვარდი, სოსანი,“  
გზად უმღერს: „ნუ გეწყინება, სხვებიც არიან ქოსანი...“

იარეს მთანი დღედაღამ, უძლვიან რაზმებს წყებულსა,  
მეორე დღესა უსუპსა, ამჩნევენ დადუმებულსა,  
ამირან ეტყვის: „ვეღარ გცნობ, ამ ჩვენ მელექსეს ქებულსა,  
არ გევხარ გუშინდელივით, მგოსანსა გაბრნყინებულსა.“

მოჰედავს ძმასა ჭმუნვითა, უსუპი ჩაფიქრებული,  
მიუგებს: „წუხელაც ვნახე, ჩვენი სამეფო გდებული,  
მტრის მიერ აოხრებული, უღონოდ, დასიზმრებული,  
ატამან თვალურემლიანი, კაცთაგან დავიწყებული;

მერმე ვიხილე ავადა, დევების ჯარი დიოდა,  
სასახლეს ჰქონდათ ქორწილი, სიმღერა ამოდიოდა,  
ატამანს შემოვხედავდით, ცრემლები ჩამოსდიოდა,  
ჩვენს სამეფოში გრიგალი და ქარიშხალი ხვიოდა;

«შეგვიპატიუეს დევებმა, შევედით, ყველას გვშიოდა,  
დედობილების ნაცხობი, ქადა კეცებში შხიოდა,  
გობებით შემოაყენეს, კაცის თავ-თვეხი დიოდა,  
საღვინით ღვინო მოგვართვეს, შიგ გველ-ბაყაყი წიოდა.

უსმელ-უქმელად დავძეხით, ყელშიაც ამოგვდიოდა,  
ტაბლასთან სამვეს სახეზე, სულ ოფლი ჩამოგვდიოდა,  
დევების დედა თვალავად, წრიალით მიმოდიოდა,  
პატარა შვილი მამასა, ლოგინად წამოჰკიოდა:

„აკი მას მიქადებდია, ამირანს მოგაკვლევინებ,  
სამვე ძმას შენი ხელითო, საბლებით მოგათრევინებ,  
უსუპის ზოსტერ<sup>1</sup>-სატევარს, წელზედ შემოგარტყმევინებ,  
ბადრისა, წითელ გალოთა, სადილად დაგახვრევინებ!“

მამა შვილსა ჰკრავს პირშია, სისხლ წავა დასადინარად,  
დევებ იწყებენ სიცილსა, ამირნის დასამშვიდარად,  
„ყმაწვილის საუბარზედა, ამირან ომი გვინდა რად?“  
ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს, რისთვისა ვზმანებ სიზმარად?

თუ ჩვენს იქ არყოფნაშია, დევთა გამართეს თარეში,  
კვლავაცა დააწიოკეს, მიდამო იმ ჩვენ მხარეში,  
ვაი თუ სამეფო ჩვენი, გვინიეს ყოფა მწარეში,  
ვთიცავ, რომ ჩავდებ ყველასა მტერს ავად შავ სამარეში!“

მოდიან ძმები ჟარითა, ზღვისებრ მდინარი არესა,  
მოჰყავთ კამარი დიდებით, დიაცი მზის სადარესა,  
გამოჩნდა მათი მამულიც, მოუახლოვდნენ მხარესა,  
გაგზავნეს კაცნი მეფესთან, სასახლე გაახარესა.

გამოეგება ხელმწიფე გმირებსა გახარებული,  
მათ შესაყრელად იჩქარის, გზად მხვედრი, გამალებული,  
გულში იხუტებს ოთხივეს, დაჰკოცნის გულ-ცეცხლდებული,  
ცრემლს იწმენდს მეფე, იძახის: „მადლი ღმერთს!“ ატირებული.

1. ზოსტერი – ქამარი (სულხან საბა).

გამართეს ზარით ნაღიმი, ძმებმა სამეფო კარზედა,  
ატამან უზით წინარე, თბილი გული აქვს მათზედა,  
ამბობს: „ვიქარვე ჭირ-დარდი, რაც დამტყდომია თავზედა,“  
იმღერის, მიბჯენილი აქვს, მეფესა ჩანგი მხარზედა.

სარობენ და მოილხენენ, მარადლესა გადაბმულად,  
უსუპი ზის მდუმარედა, გამხდარიყო უგემურად,  
საფიქრალი შექცევია, გა-ცა-ჰეროდა ტაბლას ჰურად,  
მივა მეფეს ეუბნება გულახდილი, გაბედულად:

„თქვენი დიდება, მეფეო, ჩვენთვის არს შვების მგვრელიო,  
ჰკადროთ რა, ესე თათბირი, გულს მაწევს რამ სათქმელიო,  
შევიტყვე, ოდეს მოვედით, სასახლეს ვითარც მცველიო,  
გამხდარა დევთა სამეფო, ჩვენს სახლ-კარს ახლო მდგმელიო.

ყოფილან მათი ოჯახი, უზომოდ გახვივებულნი,  
თვალიც სდგომიათ ჩვენზედა, ავადა გაფიცხებულნი,  
შიშის ზარს სცემენ სულიერთ, თურმე სამზაკვროდ გდებულნი,  
თუ არ წავლეკეთ გავხდებით მათგანვე შეჭირვებულნი.“

მეფემან უთხრა: „ვიყავით, მდომნი მაგისა მბობელნი,  
გვესივნენ, ომიც გავმართეთ, გაგვიხდნენ დაუპურობელნი,  
უფრთხიან მაგათ ყოველნი, არიან დაუნდობელნი,  
მრავალი ციხე-ქალაქის მფლობელნი, დამამხობელნი.“

ამირან მეფეს მოუსმენს, დაიწყებს ძვინვა-ლრჭენასა,  
იძახის: ქარი დავრაზმოთ, მოვრჩეთო ამა ლხენასა,  
გამოპყავთ სპანი, უწყებენ, აბჯრისა ასხმა-რბენასა,  
ვეღარ ეძლევა დალის ძე, გულითა, მოთმინებასა.

ასახრმალებენ ლაშქარსა, უვსებენ ხმალსა, აბჯარსა,  
ამირან ეტყვით: „არ გვინდა, სპათა წაუძლვეთ მრავალსა,  
მარტოდენ მივალ მცირედა, მივაგნებ მათსა სახლ-კარსა,  
დამინახავენ ცოტა სპით, უებრად, მათკენ მავალსა,

ანაზდად ბრძოლას დავაწევ, შეუმტვრევ შიგან კარებსა,  
ბადრი, უსუპიც დროულად, გამოჩნდებიან არესა,  
სასახლეს მუნით დაუქცევ, ძმები კი ლაშქარს გარესა,  
დავცემთ და ჰირქვე დავამხობთ, მტერსა ვუძრმავებთ თვალებსა.“

დაბნელდა, ქარი დაიძრა, გავიღნენ კარსა მეფისა,  
ბინდის წიაღში დინჯადა, სპა შარას გაუყვებისა,  
ამირან წინ გაიჭრება, ლაშქარსა წაუძლვებისა,  
მიაგნებს გათენებისას, სასახლეს მივა დევისა.

მცირე სპითა, ძე დალისა, ციხეს წინა გაუვლისა,  
შეატყობენ დევნი ყმასა, უკვირთ: „არის მოუმე ვისა?“  
მოგზავნიან მის წინაშე, ქალსა ვინმე გვარიშვილსა,  
ქალი, ყმას წინ, ღიმილითა აუვლის და ჩაუვლისა;

ამირან მისსა საქციელს, არ აგდებს აინუნშია,  
დევთა მეფესთან სასტიკი, ბრძოლა უდია გულშია,  
ქალი მიუვა მცინარი, ჰკითხავს: თუ რის ხამუშშია?  
მიუგებს ყმა ღიმილითვე, სიტყვას მასხრობით თქმულშია:

«რას მიცინი, დევის ქალო, რას მიელვი თეთრსა პირსა,  
გამივლი და გამომივლი, გამისინჯავ ბაგე-კბილსა,  
შორსა გზაზე მავალი ვარ, დავკარგე და ვეძებ ვირსა,  
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვი, ჩემი ბედი ასე სჭირსა.»

ქალი შევა სასახლესა, მოახსენებს ყმისა თქმულსა,  
ეტყვით: „არის ვინმე შმაგი, ჰგავსო ავად დაკარგულსა,  
არ იშურა სიტყვა რამე, თხზავდა მკვახედ გადაკრულსა,  
ამაყადაც სეირნობდა, არ მჩნეოდა შიში გულსა.“

დევნი ამბობენ: „ვაი თუ ეგ ყმა დალის ძე არიო!  
მოსულა ჩვენთან საომრად, ლაშქრითა გარე მდგარიო,  
როგორი არის ტანად, ან მის თვარს თუ შვენის ხარიო?  
თუ მართლა ამირანია, ეგ სტუმრად აქ არ არიო.“

ქალი მიუგებს დევებსა: „ყმა არის ოქროსთმიანი,  
ოქროს წვერითვე მოსილი, ძლიერი, მხარბეჭიანი,  
დიდრონი ჰქონდა თვალები, ხმა მისი ომახიანი,  
თვარადა ხარიც შვენოდა, ზოსტერსა მოკლე ხმლიანი...“

წამოიშალნენ დევები, მიხვდნენ რა ახლო სათრთხესა,  
ქალს არ აცალეს ნათქვამი, თქვეს: მივხედოთო საქმესა,  
იძახდნენ: „დალის ძე არის, დავუბნელებთო ან დღესა,  
შევატყობინოთ ყველასა, დიდძალი ბრძოლა გვმართებსა!“

რა ეს თქვეს სასახლეშია, ავარდა გარეთ ღრიალი,  
ამირან დევთა ეძგერა, დაუწყო ხეთქნა, ფრიალი,  
თავზარი ეცათ სახლშია, დაიწყეს შიშით წრიალი,  
შეუვარდებათ დალის ძე, გაუდით კედლებს ზრიალი.

დაუყვირა ავთა მთავარს: „ნუ გვინივარ მძინარეო,  
სტუმრადა ვარ შემოსული, ვიცი გული გიხარეო,  
«ვაუოკაცო, გულოვანო, ღვინისფერო მცინარეო,  
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო!»

დასცა, მოკლე ხმლით დაკოდა, მწარედა ხელი დარია,  
მათი სამეფო ოჯახი, ყველანი მკვდრებში გარია,  
მოდგნენ და მოდგნენ დევები, გაივსო სახლის კარია,  
წინ კარი, უკან კედელი, შეა დგას სისხლის ღვარია.

აივსო სახლი სისხლითა, რაც მტერსა დაუღვარია,  
ყელსა მოადგა ამირანს, ტანი მთლად დაუთარია,  
ვეღარ სძლებს, სუნიკ დაახრჩობს, წაღმა კვლავ ებრძვის ჟარია,  
იძახის: დავიღუპები, მშველელიც არსით არია.

«მოაგონდება მიჯნური, კვლა იტყვის დანანებითა:  
„მოვლალე გმირის მარჯვენა, ამდენი ომში ქნევითა,  
დამაცვთა ჯაჭვის კალთები, ამდენი სისხლში რევითა,  
ვაიმე, ჩემო კამარო, ვერ გავძეხ შენის ხვევნითა!»

ანაზღად ხმა გაისმება, გარეთ, საბრძოლო ბუკისა,  
ავარდა კორიანტელი ცხენთა ნაქუსლი ბუქისა,  
ძმებმა დაიწყეს მოულეტა, დევთა ჩაქრომა შუქისა,  
დასცეს მტერს, უკუ აქციეს, სპამ ბადრის და უსუპისა.

დევთა ჯარმა კარს ბჯენილმა, ხმა მოიღო ქუხილივით,  
„მოგვესივნენო ზურგს უკან,“ იხუვლეს გარეთ ბურთივით,  
დარჩა ამირან სასახლეს, მკვდართა მორევში კრულივით,  
დარბაზსა, სისხლში ტივტივებს, მოჩანდა შიგან კუნძივით.

დევსა სწვდა მოფართხალესა, დაკოდილს, აბჯარიანსა,  
მოზიდნა, კარსა გასტყორცნა, ჭექასა ჰეგავდა ხმიანსა,  
ნახავდნენ სისხლის გრიალსა, კოშკიდან, მდინარიანსა,  
გამოვა გარეთ დალის ძე, კვლა უმზერს ცასა მზიანსა.

მაღლიანად მოეხვევა, ძმათა ხმალსა შეუქებსა,  
დევთა ყოველ მოკეთესა, მტრულად კარსა შეუღებსა,  
„კვლავ მორჩილობთ ატამანსო,“ მოყვარეთა მიუგებსა,  
მხარეს ისევ მათ სამეფო, იერსახეს მიუღებსა.

ეახლებიან ატამანს, ძმები კვლავ გამარჯვებულნი,  
მოზიდეს დევთგან ნატაცი, განძეულობა კრებულნი,  
ეძლევა მეფე ნადიმსა, უსხედან გარს დიდებულნი,  
ბადრი, უსუპი, ამირან, ხდებიან უფრო ქებულნი.

ხელმწიფის ციხე-კოშკებსა, ეხვივნენ გარსა დარაჯნი,  
შიგან სასახლის დრუსოსა<sup>1</sup>, დამშვენენ ვრცელი სარაჯნი<sup>2</sup>,  
მეფე ზის მორჭმით, ტაბლასა, ავსებენ ნარუქ<sup>3</sup>-ნარაჯნი<sup>4</sup>,  
უსხედან სხვათა ქეყყნიდან: ნეფენი, სარნი და რაჯნი;

ატამან იხმობს ამირანს, დაისვამს გმირსა წინარე,  
ყმასა მოასხამს ვარსკვლავედს<sup>5</sup>, საქვეყნოდ ამბობს, მცინარე:  
„აღარ ეგების მეფობა, კვლა ჩემგან, ვით უწინარე,  
გვიქია შენი მძლეობა, საქმისგან გამომდინარე.

ცნობილ არს ესე ამბავი, თქვენისა მიუნურობისა,  
ჩემი ასულის გულისა შენთვისა კრთომა-თმობისა,  
შენამც მისითვე მწვარი და მდომი, გამწევი ქმრობისა,  
მომთმენი და გამომჩენი, გმირულად თავმდაბლობისა.“

1. დრუსო – სასახლის ეზოდ ითქმის (სულხან საბა).
2. სარაჯი – ქვისა და ძელის ოარები; წყალსადინრები (სულხან საბა).
3. ნარუქი – ნუგბარი; ასევე პირველქმნილი და შემოლებული საქმე (სულხან საბა).
4. ნარაჯი – მურაბა (სულხან საბა).
5. ვარსკვლავედი – სამეფო სამოსელი; ასევე მეფის მოსასხამი (სულხან საბა).

დრო გარდასულა ამირან, ქცეულა ძლიერ მმართველად,  
ყოფილა გმირი იმ უამად, თავის სამეფოს დამცველად,  
ამბობდნენ: მოგვევლინაო, ხალხისთვის დია მთარველად,  
მოყვარეთ სასიკეთოდო, მტრისაცა გასაქარველად.

გაყრილან ძმები, ამირან მას მერე მარტოდ იბრძოდა,  
ეკავათ სამეფოები, მათ შიშით მტერი იძრნოდა,  
ბადრი სამხრეთით ყოფილა, გმირი დიდებით იღწვოდა,  
ნახევარმთვარის არეში, მის გულის ცემა იგრძნოდა;

უსუპსა ერგო მიწები, დასავლეთის და ჰარისა,  
ბადრი და ამირანივით, დროშა შვენოდა ხარისა,  
ყოფილა ბრძენი, ჭკვიანი, მმართველ სამეფო კარისა,  
დამცველი სახელმწიფოსი, ერის, გენის და გვარისა.

ვით ჰქადაგებდნენ, ამირან გამხდარა როგორც ეული,  
მედგრად უძლოდა ბრძოლებსა, სამეფო ექმნა რჩეული,  
აღმოსავლეთი დაეპურო, ყოფილა გამორჩეული,  
უვრცელებია მხარეში, თვის ზნე, იერი, ჩვეული.

ლეგენდად უთქვამთ: დალის ძეს, ერთხელაც ბრძოლა უცდია,  
გაეგო მტრისა სიკვდილი, ხმალისთვის ხელი უწვდია,  
თურმე ამბრისა სამეფოს, დაპატრონება უცდია,  
მაგრამ მცირედი ნაწილი, ხელთაც კი ვერა უგდია.

«უბარა ამბრის დედამო: „ჩემ შვილს როგორდა მტერობდი? ა, ის ქვეყანამც კრულია, სადაც შენ ამირანობდი, მკვდარმა გაჯობა ცოცხალსა, ცოცხალს რას ედარებოდი?! თუ მაგის მეტი არ იყავ, რისთვისლა ჟაჭვიანობდი?!»

დაღონებულა დალის ძე, ემსგავსა სირცხვილიანსა, ჟავრი და გულის ვარამი, დღეს უბნელებდა მზიანსა, სიცოცხლეს გმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა, საბნელოს ჩაჯდა, არ სურდა ეცქერა ცასა დღიანსა.

შესცოდებია ნათლიას, მამალმერთს ყოვლად ძლიერსა, უმატა მრავლად ძალები, ამსგავსებს მთლად ორნიერსა, თანაც უბარა: „ნუ მოსწყვეტ, იმონებ ყოველთა ერსა, თუ არ მიქერებ, ეგ ხილი გარგუნებს მწარე იერსა!“

რა გაძლიერდა ამირან, იმ დღიდან ჟიქურ ომობდა, ვერვინ ბედავდა შებმასა, ბრძოლისა შნო რომ ჰქონდა, დედამინაზედ, მთლად თითქმის, ყოველი მასა ჰმონობდა, მედგარი სულის პატრონი, ქვეყნად მძვინვარედ ლომობდა;

უვრცელებია ყოველგან, მისი სამეფო ძლიერი, პაბურნ-პარების წეს-ჩვევა და ენა ის ღვთისნიერი, თაყვანსა სცემდნენ ღვთაებას, ჰქონდა რა, ხარის იერი, ეკავათ მიწა, მოსახლეთ, მდიდარი და ღვინიერი;

ამბობდნენ მასზე თქმულებებს, ყოფილა ღვთისა სულისა,  
მიუჩნევიათ ერშიაც, ვითარცა შვილი უფლისა,  
წაურთმევია ძეს თურმე, ცეცხლი კაცთ სიცვარულისა,  
ღმერთებისათვის ნატაცი, ადამიანთა გულისა.

იმუამად გმირსა ამირანს, თავი მხნედ გაუტანია,  
შებრძოლებია გველვეშაპს, სამარეს ჩაუტანია,  
ის გამარჯვება ლეგენდებს, ჩვენამდე მოუტანია,  
მოუკლავს, მისგან ჩანთქმული, მზე კვლავ ცად აუტანია.

ვერ უთმენიათ ღმერთებსა, მისი სიმძლავრე მიწაზე,  
წაართვეს ცეცხლი, უმკვიდრეს სიცივე დედამიწაზე,  
შექმნილა ხვატი<sup>1</sup> სუსხისა, დასულა უამი ყინვაზე,  
ველარ ათბობდა მცხუნვარედ, მზე თურმე კვლავაც მის ცაზე.

გადუწყვეტია დალის ძეს და ღმერთებს შებრძოლებია,  
მათ დამარცხება, ცეცხლისა წართმევაც კი შესძლებია,  
მოუტანია ხალხისთვის, კვლავ მათთვის უმკვიდრებია,  
ქვეყანას ისევ მზის სხივი, ციაგი დაუფლებია.

გაკადნიერდა ეგონა, მომრევი არვინ ჰყოლოდა,  
მისულა ღმერთთან, ვისგანაც ღონე ყოვლისა ჰქონოდა,  
უთქვამს: მე ვარო ძლიერი და ერთადერთი მხოლოდა,  
უცდია თვისი ნათლია ჭიდილში, რომ დაჰყოლოდა;

1. ხვატი – სიცივე ძლიერი (სულხან საბა).

უბრძანა მისმა შემქმნელმან: „ამირან, გონსა მოდიო,  
ნათლიის სახელს ამგვარად, კაცი იტყოდეს როდიო?!  
არა ყოფილხარ უგონო, არცა მამასა ჰემობდიო,  
გაქებდი, ამპარტავანად მე შენ არასდროს გცნობდიო!“

ძე არ მოეშვა თავისას, ერთობ ჭიდილი უწყვია,  
ღვთის მოგზავნილ განსაცდელსაც, ორჯერ თავი გაურთვია,  
განრისხებულა უფალი, მისთვის ძალა წაურთვია,  
უმარცხებია ამირან, თან ზედ წყევლაც დაურთვია;

მიუკაჭვია მისსავე სიცოცხლის ხეზედ, მწარედა,  
გადგმია მისი ფესვები, ქვეყნადა ყოველ მხარედა,  
უფარებია გერგეტი, მთა, მყინვართწვერი ყმაზედა,  
გადუქცევია მისთვისა, ის მხარე შავ სამარედა.

ეზიდნა მთელი ძალებით, იმ ხის მოგლეჭა ეცადა,  
ერყია ძირთვესვიანად, მიჯაჭვულ გმირსა მედგრადა,  
დაძლევა, მხრებით აღება, დამორჩილება ეწადა,  
რომ ქცეულიყო მებრძოლი, კვლავ სასახელო ქვეყნადა.

ერთ ხანს ძმებსაც შეუტყვიათ, გასაჭირი დალის ძისა,  
ჟერ უსუპი წამოსულა, საშველადა თავის ძმისა,  
მერე ბადრიც მიჰყოლია, თითქოს სწყვიტეს ჯაჭვიც ყმისა,  
მაგრამ უამსა თვისი ექმნა, არ ყოფილა ნება ღვთისა.

ამბობენ: იმ ყმის გვერდითა, გულს შიგან დანაკოდისა,  
დაუბამს ღმერთსა მასთანვე, შვილიცა არწივ-ორბისა,  
ყურშად იტყვიან მის სახელს, ნიშნულად ერთგულობისა,  
რამეთუ ცდილობს იგიცა, გამოხსნას იმა ლომისა;

ჟაჭვს უღრღნის, წყლულსა ულოკავს, ამირანს მკერდს რომ აჩნდება,  
ყვავყორნებისგან ნაჯიჯნი, საშველიც რომ არ ადგება,  
მთათა ფერდობზედ ღმერთკაცი, არც კვდება და აღარც რჩება,  
გულგაგლეჯილი მებრძოლი, გმირი, მწარედ იტანჯება.

სისხლი სდის დაჭრილ გულიდან, კალთებზედ მოსჩქეთს, იღვრება,  
კავკასიონის გულ-მკერდზე, ამირან სისხლად იცლება,  
ერთხელაც თავს დაიხსნისო, ამბობენ: „ეგ დროც იქნება...  
დალენავს ჟაჭვებს, ბორკილებს, კვლავ გმირად გარდაიქმნება...“

ამირანის სიყვარული, დღესაც ღვივის მის ხალხშია,  
შეუნახიათ მასზედა, ამბები, მწარე უამშია,  
ლეგენდად თქმული მერმისში, კვლავ უძევთ გონებაშია,  
დიდება მის წარსულსა და მომავალს, მისვე გვარშია!

